



პროფესიული განათლება
ეკონომიკის განვითარებისთვის
INDUSTRY-LED SKILLS AND
WORKFORCE DEVELOPMENT



პროფესიული განათლება ეკონომიკის განვითარებისთვის

ტექნიკური დახმარება ეროვნული პროფესიული
განათლების პოლიტიკის გასაძლიერებლად:
განვითარების მოკლე მიმოხილვა

მიღებულია:

PEM GmbH, გერმანია

პარტნიორები:

Aarhus TECH International (დანია)

და

ICON Institute (გერმანია)

შინაარსი

1	შესავალი	3
2	პროფესიული განათლების მდგომარეობა საქართველოში	4
2.1	პროფესიული განათლების ისტორია საქართველოში	4
2.2	მიმდინარე პროფესიული განათლების რეფორმების მიმართულება	6
2.3	კერძო სექტორის ჩართულობა პროფესიულ განათლებაში	8
2.4	ინსტიტუციური და ფინანსური შესაძლებლობა	10
3	პროფესიული განათლების ინტერვენციების მოკლე მიმოხილვა	12
3.1	საჯარო-კერძო პარტნიორობა, როგორც ბიზნესის ჩართულობის საფუძველი პროფესიულ განათლებაში	12
3.2	სექტორული უნარების საბჭოები და სექტორული მიდგომის მნიშვნელობა	15
3.3	ბიზნესსა და საგანმანათლებლო დაწესებულებას შორის პარტნიორობის გაძლიერება	17
3.4	“საუკეთესო ცენტრები” პროფესიულ განათლებაში	19
3.5	TVET- ის პოპულარიზება - ეფექტური TVET კომუნიკაციის მნიშვნელობა	22
3.6	კარიერული განათლება და დაგეგმვა	24
3.7	პროფესიული განათლების დაფინანსების ახალი მოდელის შემუშავება	27
3.8	კომპეტენციაზე დაფუძნებული ტრენინგი და შეფასება	29
3.9	ზრდასრულთა განათლება	32
3.10	არაფორმალური და ინფორმალური განათლების აღიარება (VNFIL)	35
3.11	პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფა	38

1 შესავალი

„პროფესიული განათლება ეკონომიკის განვითარებისთვის“ წარმოადგენს ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს 16 მილიონი აშშ დოლარის პროექტს, რომელიც დაფინანსებულია ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის მიერ, ამერიკის შეერთებული შტატებისა და საქართველოს მთავრობას შორის გაფორმებული მეორე 140 მილიონი აშშ დოლარის კომპაქტის ფარგლებში. პროექტი ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან თანამშრომლობით. პროექტი დაიწყო 2014 წლის სექტემბერში და გაგრძელდება 2019 წლის მარტამდე. პროექტის მიზანია თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი პროფესიული განათლების განვითარების ხელშეწყობა; პროექტი ძირითადად ფოკუსირებულია ოთხ სფეროზე - მეცნიერება, ტექნოლოგია, ინჟინერია და მათემატიკა (STEM).

პროექტის მიმდინარეობის პირველი სამი წელი მოიცავდა ტექნიკური დახმარების კომპონენტს. მისი მიზანი იყო ეროვნული პოლიტიკისა გაუმჯობესება და ბიზნესის ჩართულობის ხელშეწყობა პროფესიული განათლების სექტორში საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს და მისი სააგენტოების მხარდაჭერით. სამინისტროსთან შეთანხმებით, ტექნიკური დახმარების სფეროები მოიცავდა შემდეგს:

- ბიზნესის ჩართულობის ხელშეწყობა პროფესიულ განათლებაში: ეს მიმართულება მოიცავდა სამინისტროს მხარდაჭერას შემდეგი მიმართულებით: პროფესიული განათლების სფეროში ახალი საჯარო/კერძო პარტნიორობის მიდგომის შემუშავება, სექტორული უნარების საბჭოს კონცეფციას შემუშავება, განათლებასა და ბიზნესს შორის პარტნიორობის მხარდაჭერა, შრომის ბაზრის შესახებ ინფორმაციის შეგროვება და გამოყენება პროფესიული განათლების პროგრამის დაგეგმვის პროცესში, კარიერული ინფორმაციის გაუმჯობესება სტუდენტებისთვის.
- პროფესიული განათლების ხარისხის და მიმზიდველობის გაზრდა: ეს მიმართულება მოიცავდა სამინისტროს მხარდაჭერას შემდეგი მიმართულებით: ეროვნული პროფესიული განათლების სტრატეგიის 2013-2020 და სამოქმედო გეგმის განახლება, საგანმანათლებლო პროგრამების განფასება და რეკომენდაციების მომზადება, პროფესიული განათლების დაფინანსების მოდელზე, პროფესიული განათლების ახალი ბრენდინგის პლატფორმის განხორციელება, მათ შორის კომუნიკაციის სამოქმედო გეგმის მომზადებაში დახმარება, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ჩარჩოს დასრულება (თვით-შეფასება/მონიტორინგი, პროფესიული სტანდარტების/პროგრამების აღიარება, ავტორიზაცია, შეფასების შიდა/გარე ვერიფიკაცია), შესაძლებლობების განვითარების მხარდაჭერა მოდულური საკვალიფიკაციო პროგრამების შეფასებაზე (მათ შორის კომპეტენციაზე დაფუძნებული შეფასება) და კარიერული განათლებისა და დაგეგმვის მხარდაჭერა სკოლებსა და პროფესიულ კოლეჯებში;
- უწყვეტი სწავლების და ზრდასრულთა განათლების მხარდაჭერა: ეს გულისხმობდა არაფორმალური და ინფორმალური სწავლების აღიარების მხარდაჭერას და ზრდასრულთა განათლების პოლიტიკის გადახედვას.

მიუხედავად იმისა, რომ ტექნიკური დახმარების მხარდაჭერა სამინისტროსთვის დასრულდა, პროექტი აგრძელებს რამდენიმე აქტივობას, რომელთა მიზანია გაწეული ტექნიკური დახმარების შედეგების მდგრადობის უზრუნველყოფა და მომდევნო საჭირო ნაბიჯების იდენტიფიცირება, რომ გაგრძელდეს პროფესიული განათლების მოდერნიზაციის პროცესი.

ამ დოკუმენტის მეორე ნაწილში განხილულია პროფესიული განათლების სისტემის ამჟამინდელ მდგომარეობა.

ამ დოკუმენტის მესამე ნაწილში მოცემულია რვა მოკლე აღწერა იმ სფეროებისა, რომელთა განვითარება მნიშვნელოვანია სამომავლოდ, და რომელიც თანხვედრაშია საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკასთან.

2 პროფესიული განათლების მდგომარეობა საქართველოში

2.1 პროფესიული განათლების ისტორია საქართველოში

ყველა ქვეყანაში, პროფესიული განათლება თამაშობს გადამწყვეტ როლს შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი მუშახელის მომზადებაში, რომელიც საჭიროა ეკონომიკური და სოციალური განვითარებისათვის; ამავე დროს ახალგაზრდებს და ზრდასრულებისათვის ქმნის შემდგომი სწავლისა და კარიერული წინსვლის შესაძლებლობებს. თუმცა, თუკი პროფესიული განათლება ვერ პასუხობს ცვალებად ეკონომიკურ და სოციალურ საჭიროებებს ან არ ფინანსდება სათანადოდ ამ მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, მას ხშირად ბრალს დებენ ეკონომიკის დაბალი განვითარებისა და პროფესიულ კვალიფიკაციებსა და შრომის ბაზრის საჭიროებებს შორის შეუსაბამობის გამო; ეს ყველაფერი კი აზიანებს პროფესიული განათლების პოპულარობას. ბევრ პოსტ-სოციალისტურ ქვეყანაში, პროფესიული განათლების სისტემებმა ცუდი რეპუტაცია მოიპოვეს გარდამავალ პერიოდში; სწორედ ეს ქმნის მთავარ გამოწვევას, რომ მათ დააკმაყოფილონ 21-ე საუკუნის ახალი გამოწვევები.

წლების განმავლობაში, საქართველოს მთავრობის მთავარი პრიორიტეტი და გამოწვევა იყო ძლიერი და თანამედროვე პროფესიული განათლების სისტემის ჩამოყალიბება. თუმცა, ეფექტური სისტემის ფორმირება, რომელიც დააკმაყოფილებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს შეფერხებულია იმის გამო, რომ ახალგაზრდების უმეტესობა ირჩევს უმაღლეს განათლებას, ვინაიდან მაღალი სოციალური სტატუსი ასოცირდება საუნივერსიტეტო კვალიფიკაციებთან, უმაღლესი განათლების მქონე კადრები უფრო მაღალ ხელფასს იღებენ პროფესიული განათლების კურსდამთავრებულები. ამას ისიც ემატება, რომ დამსაქმებლებსაც უფრო უარყოფითი დამოკიდებულება აქვთ პროფესიული განათლების მიმართ საქართველოში.

მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანას ჰყავს განათლებული საზოგადოება და მაღალია წიგნიერების მაჩვენებელი, ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისთვის სერიოზული გამოწვევა ბიზნესისთვის საჭირო ტექნიკური უნარების მქონე სამუშაო ძალის ნაკლებობაა. ნაკლებია მაღალკვალიფიციური სამუშაოები, რომელიც მოითხოვს უნივერსიტეტის დონის კვალიფიკაციებს, ხოლო მეორეს მხრივ მაღალია თვით-დასაქმების წილი სოფლის მეურნეობაში. პროფესიულ განათლებაში საჭიროა ტექნიკური უნარების შესაბამისი პროფესიების განვითარება.

მიუხედავად იმისა, რომ შრომის ბაზარზე ნაკლებია საჭირო უნარების მქონე სამუშაო ძალა, მაღალია ახალგაზრდების უმუშევრობის (18-24 კოჰორტის 30%) მაჩვენებელი განსაკუთრებით ურბანულ დასახლებებში; ასევე მაღალი აკადემიური მოსწრების ახალგაზრდებს უწევთ ისეთ სამუშაოზე დათანხმება, რომელიც არ შეესაბამება მათ კვალიფიკაციას. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე და მოწყვლადი ჯგუფები მეტად გვხვდებიან დაბალპროდუქტიულ სფეროებში; მაღალია იმ ახალგაზრდების წილი, როლებიც უმუშევრები არიან და ამავე დროს არ სწავლობენ ან არ გადიან ტრენინგს (NEET), რაც პოლიტიკის შემქმნელებისათვის საგულისხმო საკითხია; აქვე გასათვალისწინებელია, რომ პროფესიულ კოლეჯებში საჭირო გახდა მისაღები ტესტირება, რამაც ადგილების ნაკლებობის გამო, შესაძლოა ახალგაზრდები პროფესიული განათლების მიღმა დატოვოს. ზოგადად, ზოგადი განათლების და უმაღლესი განათლების კურსდამთავრებულები უფრო ზარალდებიან უმუშევრობით, ვიდრე პროფესიული განათლების კვალიფიკაციების მქონენი.

არსებობს იმის ნიშნები, რომ საქართველოს ეკონომიკის განვითარების ბოლოდროინდელი ტენდენცია არ არის მდგრადი, რაც დადასტურდა ქვეყნის 67-ე ადგილიდან 59-ე ადგილზე გადმონაცვლებით 2016 წლიდან 2017 წლამდე მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის გლობალური კონკურენციის ინდექსში; ეს იმითიც არის გამოწვეული, რომ სხვა ქვეყნები უფრო სწრაფად აუმჯობესებენ განვითარების მაჩვენებლებს, ვიდრე საქართველო და ტექნიკური უნარების ნაკლებობა საქართველოში სერიოზულ ზიანს აყენებს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას და კონკურენტუნარიანობას.

ეს საფრთხეს პასუხობს საქართველოს მთავრობის ხედვა პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგიაში, რომლის მიხედვით 2013 წლიდან რეფორმების პრიორიტეტია პროფესიული განათლების ხარისხის, რელევანტურობის და მიმზიდველობის გაზრდა; ღონისძიებებს შორისაა კერძო სექტორის უფრო აქტიური ჩართულობა როგორც სწავლების, ასევე დაფინანსების კუთხით. აღსანიშნავია, რომ მცირე და საშუალო ზომის საწარმოების განვითარება ხდება ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორი საქართველოს ეკონომიკისთვის, რასაც მხარს უჭერს სამეწარმეო სწავლების გაძლიერება.

პროფესიული განათლებაში მონაწილეობა კვლავ დაბალია (10%-ზე ნაკლები უმაღლეს საშუალო განათლებაში), თუმცა მთავრობას აქვს ამბიციური გეგმა, რომ გაზარდოს მონაწილეობის მაჩვენებელი როგორც პროფესიული განათლების უზრუნველყოფით (მოდულური საკვალიფიკაციო პროგრამები) ასევე ზრდასრულთა განათლების ხელშეწყობით (იგულისხმება მოკლე კურსები); საქართველოში ძალიან დაბალია მთელი ცხოვრების მანძილზე განათლებაში მონაწილეობის მაჩვენებელი (0.42%). თუმცა, ზრდა და განათლებაში, კონკრეტულად კი პროფესიულ განათლებაში ფულის ჩადების მაჩვენებელი კვლავ ძალიან დაბალი რჩება. პროფესიული განათლების ქსელის გაფართოების მიუხედავად, ის მაინც ძირითადად ფოკუსირებულია თბილისში და სხვა მჭიდროდ დასახლებულ ადგილებში, მაშინ როდესაც არის ადგილები, სადაც პროფესიული განათლება ხელმისაწვდომი არ არის.

ცხადია, რომ პროფესიული განათლების სისტემა უნდა გაფართოვდეს და ახალი პროფესიული განათლების პროვაიდერები დაემატოს, რათა პროფესიული განათლების პროგრამები ისეთ დასახლებებშიც გახდეს ხელმისაწვდომი პოტენციური მსმენელებისათვის, სადაც ამჟამად ასეთი წვდომა არ არის.

ეს საჭიროება ასევე ასახულია “საუკეთესო ცენტრების” (‘centres of excellence’) კონცეფციაში, სადაც სპეციალურად აღჭურვილ დაწესებულებებს ექნებათ წამყვანი როლი პროფესიული განათლების განვითარებაში რეგიონულ ან სექტორულ დონეზე.

თუმცა, მთავრობის დონეზე არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ მიუხედავად მცდელობისა, რომ პროფესიული განათლების ხარისხი და რელევანტურობა გაუმჯობესდეს, პროფესიული განათლება მაინც არ არის პოპულარული ბევრი ახალგაზრდისათვის. მესიჯი, რომ ბიზნესის შესაბამისი პროფესიული განათლების პროგრამები მათ დაეხმარება კარგად ანაზღაურებადი პროფესიების დაუფლებასა და დასაქმებაში უმეტესი მათგანისთვის საყურადღებო არ არის; თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ პროფესიულ კოლეჯებში სტუდენტების უმეტესობას დამთავრებული აქვს საშუალო განათლება ან უმაღლესი განათლება პროფესიულ განათლებაზე იმ მიზეზით აბარებენ, რომ მიიღონ დასაქმებისთვის საჭირო კვალიფიკაციები.

სტუდენტების უმრავლესობა განათლების შესახებ არაინფორმირებულ გადაწყვეტილებას იღებს, რაზეც გავლენას ახდენენ სხვა პირები, განსაკუთრებით კი მშობლები. გენდერული სტერეოტიპები კვლავ გავლენას ახდენს კურსებისა და კარიერის არჩევისას, რაც იმაზე მიუთითებს რომ საჭიროა აქტიური ზომების გატარება, რათა გოგონები და ახალგაზრდა ქალები დატრენინგდნენ არა-ტრადიციულ პროფესიებზე. განსაკუთრებით STEM (მეცნიერება, ტექნოლოგია, ინჟინერია, მათემატიკა) -თან დაკავშირებულ პროფესიებში.

ამგვარად, პროფესიული განათლების სისტემის შესახებ მწირი ინფორმაცია მშობლებისა და მასწავლებლების მხრიდან, ერთ-ერთი მთავარი დაბრკოლებაა პროფესიული განათლების სისტემის გაფართოების თვალსაზრისით. ამ პრობლემის გამოსასწორებლად, ახალი პროფესიული განათლების კანონი ქმნის შესაძლებლობას, რომ პროფესიული განათლების კურსდამთავრებულებმა სურვილისამებრ სწავლა გააგრძელონ უმაღლეს განათლებაში; ამჟამად, მიმდინარეობს პროფესიული განათლების რებრენდირების პროცესი, რომლის მიზანია პროფესიული განათლების იმიჯის გაუმჯობესება, პუბლიკის ინფორმირება და პროფესიული განათლების კვალიფიკაციების პოპულარიზება. მაღალი დონის პროფესიული განათლების კვალიფიკაციების შემუშავება ასევე დაეხმარება პროფესიული განათლებას სტატუსის ამაღლებაში, განსაკუთრებით კი მოკლე ციკლის საუნივერსიტეტო პროგრამების დანერგვის გზით.

საჭიროა ინტერვენციების გაგრძელება, პროფესიული განათლების პროგრამების ხარისხისა და რელევანტურობის გაუმჯობესების მიმართულებით; ეს უფრო მიმზიდველს გახდის პროფესიულ განათლებას მსმენელებისათვის და რეკლამას გაუკეთებს პროფესიული განათლების სარგებელს, რაც გულისხმობს გაზრდილ დასაქმებას, სარგებელს ზოგადად საზოგადოებისთვის, დამსაქმებლებისთვის და პოტენციური სტუდენტებისთვის.

2.2 მიმდინარე პროფესიული განათლების რეფორმების მიმართულება

2010 წელს გამოსულმა კანონმა პროფესიული განათლების შესახებ, საფუძველი ჩაუყარა პროფესიული განათლების რეფორმას; ამავე წელს შექმნილმა კანონმა განათლების ხარისხის გაუმჯობესების შესახებ, ხელი შეუწყო ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ჩამოყალიბებას პროფესიულ განათლებაში და ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოს განვითარებას. თუმცა, შემდგომი რეფორმებისათვის სამართლებრივი საფუძვლის შექმნის მიზნით, მთავრობამ დაამტკიცა ახალი პროფესიული განათლების კანონი 2018

წლის სექტემბერში. შესაბამისი რეგულაციების შემუშავება უზრუნველყოფს შემდგომი რეფორმების განხორციელებას და საქართველოში პროფესიული განათლების მოდერნიზაციას.

პროფესიული განათლების განვითარების სტრატეგია 2013-20 განსაზღვრავს პროფესიული განათლების თანმიმდევრული და ჰოლისტური რეფორმის მიმართულებას, რომლის მიზანია ხარისხის გაზრდა და მეტი მოქნილობის უზრუნველყოფა. პროფესიული განათლების განვითარების ძირითადი ასპექტები, როგორც ეს მოცემულია სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმაში, მხარს უჭერენ საერთაშორისო დონორები როგორც ფინანსური, ასევე ტექნიკური თვალსაზრისით. საქართველოს ევროკავშირთან ასოციაციის შეთანხმებამ (2014 წლის ივნისი) გავლენა იქონია პროფესიული განათლების რეფორმებზე, დამატებითი სტიმული მისცა პროფესიული განათლების მოდერნიზების პროცესს, რომლის მიზანია საქართველოს პროფესიული განათლების სისტემის შესაბამისობა ევროპულ საუკეთესო პრაქტიკასთან.

ზოგადად, უნდა აღინიშნოს, რომ პროფესიული განათლების რეფორმა მჭიდრო კავშირშია ევროპის და სხვა მოწინავე ქვეყნების განვითარებასთან.

დონორების ინვესტიციების დახმარებით ინფრასტრუქტურაში, აღჭურვილობაში, პროფესიული განათლების პროგრამის განვითარებაში და ტექნიკურ დახმარებაში პოლიტიკის მოდერნიზაციის მხარდასაჭერად, საქართველოს პროფესიული განათლების სისტემასა და ევროპისა და სხვა ქვეყნების სისტემებს შორის საგრძნობლად შემცირდა.

ეს მოითხოვდა - და კვლავ მოითხოვს - ინსტიტუციონალური და ადამიანური შესაძლებლობების განვითარებას პროფესიული განათლების სისტემის ყველა დონეზე.

ამგვარად, საქართველოს რეფორმირებული პროფესიული განათლების სისტემა ამჟამად მოიცავს იმ ძირითად მახასიათებლებს, რომლებიც დამახასიათებელია თითქმის ყველა მოწინავე პროფესიული განათლების სისტემისთვის, მათ შორის:

- შრომის ბაზრის საინფორმაციო სისტემის (LMIS) განვითარება, სხვადასხვა ინდიკატორების მიხედვით აგროვებს ინფორმაციას დასაქმების ტენდენციებისა და უნარების საჭიროებების შესახებ. შრომის ბაზრის საინფორმაციო სისტემა ამჟამად საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს პასუხისმგებლობა. შრომის ბაზრის მონაცემები შესაძლოა შეივსოს პროფესიული განათლების პროვაიდერების მიერ მოწოდებული ინფორმაციით, ან ადგილობრივ ან სექტორულ დონეზე დამსაქმებლებთან ჩატარებული კვლევებით;
- მოდულური პროფესიული განათლების სისტემა ბიზნესზე მორგებული პროფესიული განათლების კვალიფიკაციებს ნერგავს; მოდულური პროგრამები ეფუძნება სწავლის შედეგებს, პროფესიული სტანდარტებს, კომპეტენციაზე დაფუძნებულ შეფასებასა და ეროვნული საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, რომელიც შემუშავდა ევროკავშირის პრაქტიკებთან შესაბამისობაში;
- ზოგად და პროფესიულ საგნებს შორის კავშირის გაუმჯობესება საწყის პროფესიულ განათლებაში იმისათვის, რომ კურიკულუმების შინაარსი უფრო დაუახლოვდეს ერთმანეთს;
- სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ხელშეწყობა საწარმოებში, რომელიც მოითხოვს, რომ პროგრამის სულ მცირე 40% პრაქტიკას დაეთმოს; ეს უნდა განხორციელდეს განათლების/ბიზნესის პარტნიორობის ფარგლებში როგორც ევროპული სტილის შეგირდობის მოდელის დანერგვის წინგადადგმული ნაბიჯი;

- ღონისძიებები, რომ პროფესიული განათლების კვალიფიკაციები გახდეს უფრო ხელმისაწვდომი ზრდასრულთათვის; ამ მიზნით არაფორმალური და ინფორმალური სწავლების ვალიდაციის გზამკვლევი შემუშავდა 2014 წელს, დაინერგა პილოტირება, მაგრამ სრული განხორციელება ყველა საკვალიფიკაციო დონეზე შესაძლებელი გახდება მხოლოდ ახლა, ახალი პროფესიული განათლების კანონის დამტკიცების შემდეგ;
- პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის ტრენინგების უზრუნველყოფა პროფესიაში შესვლამდე და მის შემდეგ (NTPDC-ის პასუხისმგებლობის ქვეშ); შესაბამისი ტრენინგები ეთმობა პროფესიული განათლების პროგრამების და კომპეტენციების დანერგვას და კომპეტენციებს დაფუძნებულ შეფასებას მათ შორის ინსტრუქტორებთან;
- პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ჩარჩოს დანერგვა (NCEQE-ს პასუხისმგებლობის ქვეშ); ეს პროცესი მოიცავს დარგობრივი წარმომადგენლების მხრიდან პროფესიული სტანდარტების და პროფესიული განათლების მოდულური ჩარჩო პროგრამების ვალიდაციას, პროფესიული განათლების პროვაიდერების და პროგრამების ავტორიზაციას, თვით-შეფასებას, შიდა და გარე ვერიფიკაციას და პროფესიული განათლების პროვაიდერების გარე მონიტორინგს; თუმცა ხარისხის უზრუნველყოფის ჩარჩოს სრული განხორციელება მოითხოვს შესაბამისი საკანონმდებლო საფუძველს;
- კარიერული განათლების და დაგეგმვის შემოტანა როგორც პროფესიულ კოლეჯებში, ასევე სკოლებში; მისი მიზანია პირს დაეხმაროს შესაბამისი კარიერული გადაწყვეტილების მიღებასა და განხორციელებაში; ამისათვის პროფესიულ კოლეჯებში კარიერის მენეჯერები ხელს უწყობენ განათლებასა და ბიზნესს შორის პარტნიორობას და ატარებენ კურსდამთავრებულთა კვლევებს (კვლევები 2014 წლიდან ტარდება);
- თანამედროვე პროფესიული განათლების სისტემის ძირითადი სფეროები განსაზღვრულია/იდენტიფიცირებულია, მაგრამ განხორციელების სხვადასხვა ეტაპზეა. ყველა ჩამოთვლილ სფეროში საჭირო იქნება მდგრადობის შენარჩუნება, დაწყებული პროცესების გაგრძელება, რისთვისაც საჭირო იქნება დონორთა მხარდაჭერა.

2.3 კერძო სექტორის ჩართულობა პროფესიულ განათლებაში

პროფესიული განათლების განვითარების მთავარი მიმართულებაა კერძო სექტორის ეფექტური ჩართულობის ხელშეწყობა. საქართველოს პროფესიული განათლების სისტემა ასევე მოიცავს კერძო პროფესიულ დაწესებულებებს, რომელთა რაოდენობა აღემატება საჯარო კოლეჯების რაოდენობას. კერძო კოლეჯები აქამდე არ იღებდნენ დაფინანსებას, თუმცა იგეგმება ვაუჩერის გაცემა კერძო კოლეჯების სტუდენტებზეც, რითაც შემცირდება კერძო და საჯარო კოლეჯებს შორის უთანასწორობა და კერძო კოლეჯების შესაძლებლობის გაფართოვდება. თუმცა, სამინისტროს ხედვა პროფესიულ განათლებაში კერძო სექტორის ჩართულობასთან დაკავშირებით ცდება კერძო კოლეჯების ინტეგრირებას საჯარო პროფესიული განათლების სექტორში.

2015 წლიდან, MESCS აქტიურად უწერს მხარს საჯარო-კერძო პარტნიორობას (PPP) პროფესიული განათლების სფეროში. PPP სტრატეგია მოიაზრებს ინვესტირებისა და სარგებლის გაზიარებას საჯარო და კერძო სექტორს შორის; PPP მოიაზრება სამი

მიმართულება - საერთო ინვესტიცია ახალი პროფესიული განათლების და ტრენინგ დაწესებულებების დაარსებაში, პროფესიული განათლების დაწესებულებების მენეჯმენტის ნაწილობრივ ან სრულ აუტოსორსინგი, სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების განხორციელება, რომელსაც საწარმოები ახორციელებენ პროფესიული განათლების დაწესებულებებთან პარტნიორობით. PPP მიდგომა პრიორიტეტულია პროფესიული განათლების სისტემის გრძელვადიან განვითარებაში.

ბიზნესის ჩართულობაც ფართოვდება პროფესიული განათლების სისტემის მართვაში; 2010 წელს დამტკიცებულმა პროფესიული განათლების კანონმა მხარი დაუჭირა ევროპული სტილის სოციალური პარტნიორობის ჩამოყალიბებას ეროვნული პროფესიული განათლების საბჭოს სახით; საბჭო წარმოადგენს საკონსულტაციო ორგანოს. ის განიხილავს პროფესიული განათლების სისტემის ყველა ძირითად მიმართულებას თემატურ სამუშაო ჯგუფების მიერ მომზადებული რეკომენდაციების საფუძველზე. თუმცა, NVETC შეფასებისას მას განიხილავენ როგორც დადმავალ და ნაკლებეფექტურ ორგანოს, რომელიც უფრო რეაქტიულია, ვიდრე პოლიტიკის შესახებ მსჯელობის ინიციატორი. მას არ გააჩნია სამდივნო და მართავს სამინისტროს პროფესიული განათლების დეპარტამენტი. პრობლემაა ისიც, რომ არ არსებობს სექტორული ან რეგიონული სოციალური სტრუქტურა მის ქვემოთ. შედეგად, ის განიხილავს პროფესიული განათლების ფართო ეროვნულ პოლიტიკას თუმცა ნაკლებია მექანიზმები, რომლებიც ამ გადაწყვეტილებებისათვის აღმავალი სახით შექმნიდა საფუძველს.

ამჟამად, დარგობრივი საბჭოები, რომლებიც ახდენენ პროფესიული და საგანმანათლებლო სტანდარტების ვალიდაციას, არ არიან ან დამოუკიდებლები, ანდა სოციალური პარტნიორობის სტრუქტურის ნაწილი, რადგან ისინი ჩამოყალიბებულია, ან დამოკიდებულია NCEQE-ზე. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი და განათლების სამინისტრო შეთანხმდნენ, რომ უნდა ჩამოყალიბდეს დამოუკიდებელი სექტორული უნარების საბჭოები (შესაძლოა დარგობრივი საბჭოების ფუნქციების გაზრდით), იმისათვის, რომ მოხდეს უნარების განვითარებისადმი (პროგნოზირება და განვითარება) უფრო სტრატეგიული მიდგომა სექტორულ და რეგიონულ დონეზე: ეს მოიცავს რეგიონალური და სექტორული უნარების კვლევას; სექტორული და რეგიონალური უნარების განვითარების სტრატეგიას; სტანდარტებისა და კვალიფიკაციების განვითარებას სექტორულ დონეზე. ამისათვის საჭიროა გრძელვადიანი სტრატეგიის შემუშავება და სისტემის ეტაპობრივი დანერგვა.

ყველა პროფესიული განათლების პროვაიდერს შეუძლია განავითაროს ეფექტური განათლების/ბიზნესის პარტნიორობა, რომელიც გულისხმობს ადგილობრივ დამსაქმებლებთან თანამშრომლობას; ეს მნიშვნელოვანია პროგრამების შემუშავების/ადაპტირებისთვის, სტუდენტების რაოდენობის დასაგეგმად, სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების და სტაჟირების ორგანიზებისთვის, სტუდენტების ინფორმირება კარიერასთან დაკავშირებით და საჭიროების შემთხვევაში მიზნობრივი და სპეციალურად შერჩეული ტრენინგ პროგრამების შემუშავება დასაქმებულებისთვის. ზოგიერთ შემთხვევაში, ამ პარტნიორობის ფარგლებში კომპანიები ზოგჯერ უზრუნველყოფენ პროვაიდერებს აღჭურვილობით ან მასალებით, პრაქტიკული ტრენინგის მხარდასაჭერად.

კერძო სექტორის ჩართულობის გაძლიერება იქნება გადამწყვეტი პროფესიული განათლების სისტემის შემდგომი განვითარებისთვის; მათ შორისაა საჯარო-კერძო პარტნიორობის შემუშავება, სექტორულ დონეზე პროფესიული განათლების გაძლიერება

(რომელიც შესაძლოა დაფუძნებული იყოს PPP მიდგომაზე) და განათლების/ბიზნესის პარტნიორობის შემდგომი განვითარება მთელი პროფესიული განათლების სისტემაში.

2.4 ინსტიტუციური და ფინანსური შესაძლებლობა

საქართველოს პროფესიული განათლების სისტემა საკმაოდ ცენტრალიზებულია და შესაბამისად, პროფესიული განათლების პოლიტიკის განვითარება, დაგეგმვა და კოორდინაცია, მათ შორის პროფესიული განათლების სტრატეგიის სამოქმედო გეგმის განხორციელება და სოციალური პარტნიორობის ჩართულობას უზრუნველყოფს განათლების სამინისტროს პროფესიული განათლების დეპარტამენტი, რომელიც პროფესიული განათლებაზე პასუხისმგებელი მინისტრის მოადგილის უშუალო პასუხისმგებლობის ქვეშ არის. დეპარტამენტი საკმაოდ პატარა დაკისრებულ პასუხისმგებლობებთან შედარებით და მისი შესაძლებლობები მაქსიმალურად არის ათვისებული. კონკრეტულ ფუნქციებს ახორციელებენ განათლების სამინისტროს საჯარო სააგენტოები, კერძოდ:

- NCEQE, რომლის ფუნქციაში შედის პროფესიული განათლების პროვაიდერების და პროგრამების ავტორიზაცია, ხარისხის უზრუნველყოფის ჩარჩოს და ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს განხორციელების მენეჯმენტს. თუმცა, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ფუნქციები იმაზე მეტია, რასაც ხარისხის განვითარების სააგენტო ჩვეულებრივ ასრულებს; ცენტრი ასევე კოორდინირებს უწევს პროფესიული სტანდარტების, პროფესიული განათლების პროგრამების და კვალიფიკაციების შემუშავებას. სწორედ ამან წარმოშვა მოსაზრება სავარაუდო ინტერესთან კონფლიქტის შესახებ პროფესიული განათლების განვითარების მხარდაჭერასა და ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციებს შორის. NCEQE ირწმუნება, რომ სამომავლოდ, სტანდარტები და პროგრამის შემუშავება საკუთარ თავზე უნდა აიღოს სექტორული უნარების საბჭოებმა, რომელიც უნდა იყოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისგან დამოუკიდებელი და მხარდაჭერილი რაიმე სხვა დაწესებულების მიერ;
- მასწავლებელთა პროფესიული მომზადების ეროვნული ცენტრი პასუხისმგებელია პროფესიული განათლების მასწავლებლების პროფესიაში შესვლამდე და მის შემდეგ პროფესიონალურ განვითარებაზე; ცენტრის ადამიანური რესურსი და შესაძლებლობა არ არის საკმარისი იმ გამოწვევებისთვის, რომელიც გულისხმობს მასწავლებლების პედაგოგიური უნარების ამაღლებას და ახალი სწავლების და შეფასების პრაქტიკების დანერგვას პროფესიული განათლების სისტემაში.

დონორი ორგანიზაციების შემდგომმა დახმარებამ უნდა უზრუნველყოს ამ სააგენტოების შესაძლებლობების გაძლიერება, როგორც ინსტიტუციონალური ასევე ადამიანური რესურსების.

საჯარო პროფესიული განათლების პროვაიდერების ინფრასტრუქტურის განვითარებას უზრუნველყოფს სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო. საჯარო პროფესიული დაწესებულებების ადმინისტრაციულ ხარჯებს ფარავს სამინისტროს ბიუჯეტი. ავტორიზაციის ხარჯებს თავად პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები ფარავენ.

ვაუჩერის დაანგარიშება ხდება მოდულების მიხედვით. ვაუჩერული დაფინანსება ფარავს მხოლოდ საჯარო პროფესიულ კოლეჯებს; პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები

კერძო პროფესიული განათლების კოლეჯებში და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ფასიანია. თუმცა, იგეგმება რომ ვაუჩერულმა დაფინანსებამ მოიცვას ყველა სტუდენტი ყველა საჯარო საგანმანათლებლო დაწესებულებებში. ვაუჩერის დაფინანსება გაკრიტიკდა როგორც მოუქნელი სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების დაფინანსებისთვის.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ არაფორმალური და ინფორმალური სწავლების ვალიდაციის საფასური შეიძლება გადაიხადონ თავად კანდიდატებმა, თუკი ამას არ აფინანსებს დამსაქმებელი. ამ საკითხის მოუგვარებლობის შემთხვევაში, ვალიდაციით დაინტერესებული კანდიდატების რაოდენობა სავარაუდოდ მცირე იქნება.

არსებოდა გარკვეული მოსაზრება შესრულებაზე დაფუძნებული დაფინანსების მოდელის შემოტანაზე; ეს მოდელი შესაძლებლობას იძლევა დაჯილდოვდებოდა ყველაზე წარმატებული პროფესიული განათლების დაწესებულება; ასევე შესაძლებელია შედეგზე დაფუძნებული დაფინანსების ელემენტის ჩართვა, რომ მოხდეს ეფექტურობის წახალისება პროგრამის მიწოდებაში და გამოირიცხოს განათლების მიტოვებით გამოწვეული დანაკარგი.

ამდენად, პროფესიული განათლების სისტემის განვითარება უნდა გულისხმობდეს დაფინანსების მოდელების გადახედვას და რეფორმას.

3 პროფესიული განათლების ინტერვენციების მოკლე მიმოხილვა

ამ ნაწილში განხილულია პროფესიული განათლების განვითარების კონკრეტული სფეროების შესახებ მოკლე მიმოხილვა.

3.1 საჯარო-კერძო პარტნიორობა, როგორც ბიზნესის ჩართულობის საფუძველი პროფესიულ განათლებაში

შესავალი:

2015 წელს, პროექტი „პროფესიული განათლება ეკონომიკის განვითარებისთვის“ განათლების სამინისტროს დაეხმარა, პროფესიული განათლებისთვის საჯარო-კერძო პარტნიორობის (PPP) დოკუმენტის შექმნაში. PPP წარმოადგენს ერთგვარ კონტრაქტს საჯარო და კერძო სექტორს შორის, სადაც კერძო სექტორი უზრუნველყოფს საჯარო მომსახურებას, მართავს საჯარო აქტივებს ან ახორციელებს საჯარო პროექტს და საკუთარ თავზე იღებს ძირითად ფინანსურ, ტექნიკურ და საოპერაციო რისკებს. კერძო სექტორს კი ნაწილობრივ, ან სრულად აკომპენსირებს მთავრობა, ან შეუძლია შემოსავლის გენერირება მომხმარებლებისგან მიღებული თანხით.

PPP-ები წარმოადგენს თანადაფინანსების მიდგომას, რომელიც დაფუძნებულია ინვესტიციების და რისკების გაზიარებაზე. საჯარო-კერძო პარტნიორობის ორი ყველაზე გავრცელებული მოტივი გახლავთ: კერძო სექტორის ექსპერტიზის და ეფექტიანობის გამოყენება აღჭურვილობის და სერვისების მისაწოდებლად, რომელსაც როგორც წესი, შეისყიდის და მიაწოდებს საჯარო სექტორი და/ან ძირითადი კაპიტალის ინვესტირება მთავრობისგან სესხის ან სერიოზული ფინანსური რისკების აღების გარეშე.

PPP-ები გამოიყენება, როგორც კერძო სექტორის ოპერაციებში, პროფესიული ან მხარდაჭერის სერვისებში, ინფრასტრუქტურაში ჩართულობის ინვესტირების მექანიზმი.

მიუხედავად იმისა, რომ პროფესიულ განათლებაში გავრცელებულია „მოთხოვნის მხარე“ და „მიწოდების მხარე“, გამოიჯენა (პროვაიდერები და დამსაქმებლები), საჯარო-კერძო პარტნიორობის ინიციატივები შლიან ამ განსხვავებას; არსებობს ტენდენცია ქართული პროფესიული განათლების პოლიტიკაში დამსაქმებლები რომ გახდნენ პროვაიდერები, მაგალითად სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმატში.

პროექტის ტექნიკური დახმარება

2015 წლის შუა პერიოდში, პროექტი დაეხმარა განათლების სამინისტროს საქართველოს პროფესიული განათლების სექტორში საჯარო-კერძო პარტნიორობის კონცეფციის შემუშავებაში; ეს დოკუმენტი არის PPP-ს პოლიტიკის საფუძველი საქართველოს პროფესიული განათლების სექტორში.

2015 და 2016 წლებში, პროექტი ეხმარებოდა განათლების სამინისტროს ინტერესის გამოხატვის ფორმულირებაში, რომელიც სამინისტრომ შეიძლება გამოიყენოს PPP-ს მიდგომის განსახორციელებლად. განათლების სამინისტრომ გამოყო პოტენციური საჯარო-კერძო პარტნიორობის კონკრეტული სფეროები: ახალი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ჩამოყალიბება თანადაფინანსების საფუძველზე; საჯარო პროფესიული განათლების კოლეჯების მენეჯმენტის აუტსორსინგი; PPP-ზე დაფუძნებული სამუშაოზე დაფუძნებული სასწავლო პროგრამების განხორციელება. იდეებზე მოთხოვნები საჯაროდ არ გამოუყენებია სამინისტროს, თუმცა გარკვეულწილად გამოყენებულ იყო პოტენციურ კერძო სექტორთან პარტნიორობისას.

საჯარო-კერძო პარტნიორობა გახლდათ სემინარის ერთერთი თემა MCA საქართველოს მიერ განათლების სამინისტროსთან ერთად ორგანიზებულ პირველ პროფესიული განათლების კონფერენციაზე 2016 წელს; ISWD პროექტის მიერ გაწეული ტექნიკური დახმარების სხვა სფეროები, მათ შორის სექტორული უნარების საბჭოების კონცეფცია ასევე გულისხმობდა ბიზნესის თანადაფინანსების რეკომენდაციებს PPP-ს მიდგომით.

MCA საქართველოს საგრანტო კონკურსის პროგრამამ (PICG), რომელმაც დააფინანსა 10 მსხვილი საგრანტო პროექტი საერთაშორისო ან ქართულ კომპანიებთან პარტნიორობით, იდენტიფიცირდა, როგორც საუკეთესო PPP-ის პრაქტიკა. კერძო სექტორმა მნიშვნელოვანი თანადაფინანსება ჩადო ამ პროექტებში. PICG-ის წარმატების შემდეგ, საგრანტო სქემები ბიზნესის თანადაფინანსების მოთხოვნებით შეიმუშავეს სხვა დონორებმა, მათ შორის ევროკავშირმა და მოსალოდნელია, რომ ეს მიდგომა ითამაშებს მნიშვნელოვან როლს პროფესიული განათლების სისტემის ინვესტირებისა და მხარდაჭერის პროცესში.

მიღწეული პროგრესი და სამომავლო მიმართულებები

PPP კვლავ რჩება საქართველოს პროფესიული განათლებისადმი მიდგომის ცენტრალურ ღერძად და მოიაზრება კერძო სექტორის ჩართულობის და პროფესიული განათლების სისტემის გაფართოების და მოდერნიზაციის წამყვან ფაქტორად. თუმცა, ბიზნესის პოტენციური სარგებელი უნდა იყოს ხელშესახები და ინვესტიციურებას სჭირდება დიდი დრო, სანამ მიღწეული იქნება შესამჩნევი შედეგები. საჯარო-კერძო პარტნიორობის ინიციატივებს, სხვა ქვეყნებში, როგორც წესი სჭირდებათ გრძელვადიანი ინვესტირება, რაც შესაძლოა რთული იყოს ქართული კომპანიებისთვის. მიუხედავად ამისა, პროგრესი შესამჩნევია და ნათელია, რომ PPP პროექტის მცირე მასშტაბი ეფექტურია ქართული რეალობისთვის. საჯარო-კერძო პარტნიორობის პოპულარიზება უნდა მოხდეს ქართული ბიზნესისთვის, საუკეთესო პრაქტიკის მაგალითები გამოყენებულ უნდა იქნას სადაც შესაძლებელია, და მოხდეს პოტენციური შესაძლებლობებისა და სარგებლის შესახებ ცნობიერების ამაღლება. ამასთანავე, საჭიროა მაღალი დონის პოლიტიკური მხარდაჭერა სტრატეგიის ამ გადამწყვეტი სფეროს პოპულარიზაციისთვის.

ამჟამად, კვლავ ცოტა ქართველი დამსაქმებელია ჩართული პროფესიულ განათლებაში; ISWD პროექტის დამსაქმებლებთან კონსულტაციებმა პროფესიული განათლების კომუნიკაციების სტრატეგიის შემუშავებამ აჩვენა, რომ ქართველი დამსაქმებლების დიდ ნაწილს კვლავ მჭირი ინფორმაცია აქვს პროფესიული განათლების შესახებ და ცოტა გამოხატავს ჩართულობის ინტერესს. ძლიერი საჯარო-კერძო პარტნიორობის განვითარება გრძელვადიანი პერსპექტივაა და დაკავშირებულია სხვადასხვა ინიციატივებთან და მიდგომებთან, როგორცაა სოციალური პარტნიორობის განვითარება რეგიონულ და სექტორულ დონეზე, განათლების/ბიზნესის პარტნიორობა, სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების განხორციელება და პროფესიული განათლების ეფექტური კომუნიკაცია.

საჯარო-კერძო პარტნიორობის პრინციპი გახლავთ ქართული საჯარო სექტორის ხელშეწყობა ყველა სფეროში; საჯარო-კერძო პარტნიორობის კანონი მიღებულ იქნა და დაფუძნდა საჯარო-კერძო პარტნიორობის სააგენტო. მთავრობის პოლიტიკა ყველა სამინისტროს, მათ შორის განათლების სამინისტროს სთხოვს საჯარო-კერძო პარტნიორობასთან დაკავშირებული გეგმების შემუშავებას და განხორციელებას, რომლისთვისაც საჭიროა საკოორდინაციო მექანიზმების ჩამოყალიბება.

ბრიტანეთში დაფუძნებული Good Governance Fund-მა (GGF) განახორციელა პროექტი საჯარო-კერძო პარტნიორობის შესახებ პროფესიული განათლების სექტორში; მისი პირველი ფაზა მოიცავს შემდეგ აქტივობებს: საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკების ანალიზი და მისი შესაბამისობა საქართველოს რეალობასთან, სამოქმედო გეგმის შემუშავება პროფესიული განათლების დაწესებულებების მენეჯმენტის ზოგიერთი ფუნქციების აუტოსორსინგისთვის და PPP-ს სატენდერო პროცედურების მომზადება. პროექტის მეორე ფაზის მიზანია განათლების სამინისტროს მხარდაჭერა საჯარო-კერძო პარტნიორობის შერჩეული მოდელის შემუშავებასა და პილოტირებაში.

3.2 სექტორული უნარების საბჭოები და სექტორული მიდგომის მნიშვნელობა

შესავალი:

იმისათვის, ბიზნესის პროფესიული განათლების კვალიფიკაციების შემუშავებაში მონაწილეობის მიზნით ამჟამად არსებობს 11 დარგობრივი საბჭო. მათი ფუნქციაა პროფესიული და საგანმანათლებლო სტანდარტების ვალიდაცია. ისინი არც დამოუკიდებელი ორგანოები არიან და არც სოციალური პარტნიორობის სტრუქტურის ნაწილი; თუმცა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი გეგმავს რომ ისინი გახადოს დამოუკიდებელი.

დამოუკიდებელი სექტორული უნარების საბჭოები (SSCs ბევრ ქვეყანაში არსებობს, სადაც ისინი ახორციელებენ მნიშვნელოვან ფუნქციებს პროფესიულ განათლებაში სექტორულ დონეზე; ამჟამად მიმდინარეობს მსჯელობა, რომ ჩამოყალიბდეს სექტორული უნარების საბჭოები საქართველოში, სავარაუდოდ გაიზარდოს დარგობრივი საბჭოების ფუნქციები და გავიდეს NCEQE-დან; ეს უზრუნველყოფს სტრატეგიულ მიდგომას უნარების პროგნოზისა და განვითარების თვალსაზრისით; ამისათვის საბჭოები უზრუნველყოფენ სექტორული უნარების კვლევებსა და სტრატეგიებს, სტანდარტებისა და კვალიფიკაციების შემუშავებას სექტორულ (და სავარაუდოდ რეგიონალურ) დონეზე, სოციალური პარტნიორობის სტრუქტურაში არსებული ხარვეზის შევსებას.

პროექტის ტექნიკური დახმარება

პროექტმა მოამზადა საქართველოში დარგობრივი უნარების საბჭოების გრძელვადიანი განვითარების კონცეფცია, რომელიც განსაზღვრავს მათ როლისა და ფუნქციებს, ინსტიტუციური და დაფინანსების მოდელს; ეს უკანასკნელი მოიცავს ყოველწლიურ გრანტებს, პროექტზე დაფუძნებულ დაფინანსებას ან ორივე მათგანის კომბინაციას, შემოსავლის გენერირების და ხარჯების გათვალისწინებით. დოკუმენტი ასევე მითითებულია, რომ NCEQE-სგან დამოუკიდებელი მხარდაჭერისა და კოორდინაციის მექანიზმების მოძიება ერთ-ერთი გამოწვევა იქნება, თუმცა გადაამწყვეტი მნიშვნელობის მქონე შემოთავაზებული მოდელის განხორციელებისთვის.

დოკუმენტი წარედგინა ეროვნულ პროფესიული განათლების საბჭოს 2017 წელს, სადაც მას მოყვა პოზიტიური გამოხმაურება და რეკომენდაციები, რომ გაგრძელდეს მოდელზე მუშაობა პროფესიული განათლების დაინტერესებულ მხარეებთან ერთად. დოკუმენტი ასევე გადაეცა განათლების სამინისტროს და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს; პროექტმა წარმოადგინა ამ მოდელის განხორციელების გეგმა, იმ პირობით, რომ შემოთავაზებული სექტორული უნარების კომიტეტის მოდელი დაინერგება ეტაპობრივად დროთა განმავლობაში.

მიღწეული პროგრესი და სამომავლო მიმართულებები

კონცეფციას მოყვა ფართო გამოხმაურება განათლების სამინისტროსა და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მხრიდან; ამ უკანასკნელის მოსაზრებით საქართველოს სავაჭრო და ბიზნეს პალატა (GCCl) შესაძლოა და გახდეს დარგობრივი საბჭოების ალტერნატიული მასპინძელი. ერთ-ერთ ალტერნატივად განიხილებოდა ამ პროცესში ახალი ეროვნული უნარების სააგენტოს ჩარევა; სააგენტოს შექმნის ინიციატივა წარდგენილია ინსტიტუციონალური რეორგანიზაციის შესახებ ანგარიშში, რომელიც ევროკავშირის მხარდაჭერით მომზადდა; თუმცა იმის გათვალისწინებით რომ ამ საკითხის განხილვა ნაკლებად ხდება, ყველაზე რეალურ ვარიანტად რჩება საქართველოს სავაჭრო და ბიზნეს პალატა.

შემდეგი საფეხურია მოდელის პილოტირებას სხვადასხვა სექტორებში, რაც მნიშვნელოვანია მოდელის დასახვეწად და სხვადასხვა სექტორული საჭიროებების გასათვალისწინებლად. ვინაიდან ISWD პროექტმა დაასრულა ტექნიკური დახმარება, ვიმედოვნებთ, რომ პროფესიული განათლების განვითარების მხარდამჭერი სხვა დონორები სხვადასხვა სექტორებში გამოიყენებენ ამ მიდგომას (პილოტირებას). ასეთმა პილოტირებამ შესაძლოა ნათელი გახადოს დარგობრივი უნარების საბჭოები, უკვე არსებულ დარგობრივი საბჭოების გაფართოებით უნდა ჩამოყალიბდეს თუ უმჯობესია მათი ახლიდან ჩამოყალიბება.

პილოტირების შემდგომი მოთხოვნები:

- საბოლოო მოდელზე შეთანხმება (როლი, ფუნქციები და ა.შ.), რომელიც შესაძლოა მოიცავდეს მოქნილობის ელემენტს, სექტორის ზომის და სირთულის გათვალისწინებით;
- „ქოლგა“/მიმღებ ორგანიზაციაზე შეთანხმება, რომელიც შეასრულებს დარგობრივი უნარების საბჭოების კოორდინაციისა და მხარდაჭერას;
- კონკრეტული დაფინანსების მოდელის იდენტიფიცირება და შეთანხმება პროფესიულ განათლებაში PPP-ს პოლიტიკის ფარგლებში; ის უნდა მოიცავდეს სექტორის მხრიდან თანადაფინანსების ელემენტს;
- ახალი რეგულაციის მომზადება (რომ ჩანაცვლდეს მიმდინარე, 2015 წელს დამტკიცებული რეგულაცია); საბოლოო მოდელის განხორციელების იურიდიული საფუძვლის უზრუნველყოფა, მათ შორის ფინანსური მახასიათებლების;
- სოციალური პარტნიორობის სტრუქტურაში მათი ინტეგრირებისთვის საჭირო მექანიზმების შემუშავება და შეთანხმება; მათ შორისაა დარგობრივი უნარების საბჭოების წარდგენის მექანიზმი ეროვნული პროფესიული განათლების საბჭოში;
- შესაძლებლობების განვითარების გრძელვადიანი ღონისძიებების განსაზღვრა.

3.3 ბიზნესსა და საგანმანათლებლო დაწესებულებას შორის პარტნიორობის გაძლიერება

შესავალი:

საგანმანათლებლო დაწესებულებასა და ბიზნეს სექტორს შორის პარტნიორობა უზრუნველყოფს მათ შორის თანამშრომლების გაძლიერებას ურთიერთგაგების მემორანდუმის ან კონტრაქტის საფუძველზე. თანამშრომლობის გამოყენება სხვადასხვა სახითაა შესაძლებელი, მაგალითად, პროვაიდერების დახმარება ბიზნესის უნარების საჭიროებების იდენტიფიცირებაში, მიზნობრივი ბიზნესის მიზნებს მორგებული საგანმანათლებლო პროგრამების მომზადება, ადაპტირება, კარიერული ინფორმაციის მიწოდება სტუდენტებისთვის, სტუდენტების შეყვანა შრომის ბაზარზე, ერთობლივი სტაჟირების შემუშავება, ან სამუშაოზე დაფუძნებული სასწავლო პროგრამების მომზადება, და სხვა. ეს პარტნიორობა შეიძლება სასარგებლო იყოს საწარმოებისთვის, მაგალითად, იმის უზრუნველსაყოფად რომ პროფესიულმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა იცოდნენ მათი საჭიროებები, და კურსდამთავრებულთა შერჩევა და სხვ. სინამდვილეში, როგორც წესი, ბიზნესი დაინტერესებულია პარტნიორობით იმ შემთხვევაში თუ მის მიერ ჩადებული ინვესტიცია და რესურსები გარკვეულ სარგებელს მოუტანს; სწორედ ამის გამოა რთული საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და ბიზნესს შორის პარტნიორობის შენარჩუნება.

ISWD პროექტმა ამ მიმართულებით სხვადასხვა აქტივობა განახორციელა, მათ შორის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების დახმარება შრომის ბაზრის შესახებ ინფორმაციის მოძიებასა და გამოყენებაში, ადგილობრივი დამსაქმებლების ჩართულობა კარიერულ განათლებისა და დაგეგმვის აქტივობებში, ერთობლივი სწავლებისა და თანამშრომლობის განვითარება კოლეჯის მასწავლებლებს და სამუშაო ადგილის ინსტრუქტორებს შორის სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების პროგრამებში, და სხვა.

პროექტის ტექნიკური დახმარება

შესაძლებლობების გაძლიერების ტრენინგები და კონსულტაციები ჩატარდა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან (ძირითადად დირექტორები და კარიერის მენეჯერები) საგანმანათლებლო და დასაქმების სექტორებს შორის პარტნიორობის ჩამოყალიბებაზე - პარტნიორობის შესაძლებლობების და თანამშრომლობის გზების იდენტიფიცირებაში, შეთანხმების / ურთიერთგაგების მემორანდუმების გაფორმება. მხარდაჭერა მოიცავდა:

- საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და ბიზნეს სექტორს შორის თანამშრომლობის სახელმძღვანელოების ჩამოყალიბება, რომელიც მოიცავს მიზნებს/სარგებელს, ძირითად ნაბიჯებს(დაწყება - პარტნიორობის იდენტიფიცირებით - EBP-ის საფუძველის ჩამოყალიბება - განხორციელება და მენეჯმენტი - მონიტორინგი და შეფასება), საუკეთესო პრაქტიკის ინფორმაციას.
- შესაძლებლობების გაძლიერების ტრენინგ-პაკეტებისა და მასალების მომზადება კოლეჯების დირექტორებისთვის და კარიერის მენეჯერებისთვის.
- შესაძლებლობების გაძლიერების ტრენინგის ჩატარება საჯარო და კერძო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლებთან, მათ შორის მოკლე სემინარი 15 პროფესიული კოლეჯის დირექტორისთვის, და ტრენინგის ოთხი რაუნდი კარიერის მენეჯერებისთვის და მასწავლებლებისთვის (თითოზე 30 მონაწილე).

მიღწეული პროგრესი და სამომავლო მიმართულებები

დამსაქმებელთა აქტიური მონაწილეობა მნიშვნელოვანია, რაც არ უნდა შემოიფარგლოს პროფესიული განათლების კურსდამთავრებულების დასაქმებით; დამსაქმებლებმა აქტიური წვლილი უნდა შეიტანონ ბიზნესის საჭიროებებთან მორგებული საგანმანათლებლო პროგრამების მომზადებაში. შემდგომი ნაბიჯები უნდა მოიცავდეს:

- უფრო სრულყოფილი EBP მოდელების შემუშავება და განხორციელება, მათ შორის სექტორულ დონეზე (რომელიც შესაძლოა მოიცავდეს სექტორულ უნარების საბჭოებს ან სექტორულ ასოციაციებს);
- კონკრეტული EPB-ს დაკავშირება დაგეგმილ ინიციატივებთან, პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში საჯარო/კერძო პარტნიორობის განვითარების, პილოტირებისა და განხორციელებისათვის.
- EBP სახელმძღვანელოების გავრცელება ყველა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში, პერიოდული განახლებით რათა გამოავლინოს საუკეთესო პრაქტიკის მაგალითები.
- EBP-ის უფრო ეფექტური გამოყენება, როგორც პროფესიულ მასწავლებელთა ბიზნესთან დაკავშირებული ცოდნის განახლების საშუალება;
- კომპანიებისთვის EBP-ით სარგებლის უზრუნველყოფა, მაგალითად ერთობლივი საქმიანობებით კომპანიის თანამშრომლებს შესაძლებლობისა და უნარების განვითარება
- EBP-ის ხელშეწყობა, შემდგომი შესაძლებლობების გაძლიერების მხარდაჭერა, რომელიც უზრუნველყოფს EBP-ის სარგებლისა და შესაძლებლობების მაქსიმალურად გაზრდას.

3.4 “საუკეთესო ცენტრები” პროფესიულ განათლებაში

შესავალი:

“საუკეთესო ცენტრები” სხვა ქვეყნებში ხელს უწყობენ პროფესიული განათლების რეფორმების ეფექტურ განხორციელებას რეგიონალურ ან სექტორულ დონეზე, ისინი მიზნად ისახავენ ხელი შეუწყონ პროფესიული განათლების განვითარების აქტივობების დეცენტრალიზაციის საშუალებას.

ჩვეულებრივ, არსებულ ან ახალ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებზე დაფუძნებით, “საუკეთესო ცენტრების” ემსახურებიან როგორც პროფესიული განათლებისა და გადამზადების წამყვან პროვაიდერებს, ისე სხვა პროვაიდერებსაც. კონცეფცია მიიჩნევს, რომ ასეთი დაწესებულება მდებარეობს ცენტრში ან ქსელის ჰაბში ან სატელიტური დაწესებულებების კლასტერზე, რომელსაც უწევს დახმარებას და მხარდაჭერას ინფორმაციისა და გამოცდილების კასკადური გავრცელების გზით. ისინი სთავაზობენ სპეციალურად შექმნილ საკონსულტაციო, გადამზადებისა და ქოუჩინგის მომსახურებას სხვა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებს და კლიენტ ორგანიზაციებს; ამავე დროს ასრულებენ მნიშვნელოვან საკოორდინაციო როლს.

მათ საქმიანობაში შედის ახალი კონცეფციების და მიდგომების პილოტირება და გამოყენება; კვლევისა და განვითარების აქტივობები, რომელიც შეესაბამება პროფესიული განათლების სისტემის განვითარების საჭიროებებს; როგორც წესი, ისინი კონკრეტულ სფეროში იქმნებიან, ძვირადღირებული ტექნიკის ინვესტიციების საშუალება აქვთ რესურსით აღჭურვილი სპეციალიზებულ დაწესებულებებში, რომლებიც უზრუნველყოფენ ტრენინგს სხვა დაწესებულებებში თანამშრომლებისთვის და სტუდენტებისთვის (იმის ნაცვლად რომ აღჭურვილობის სხვადასხვა ადგილზე გადაანაწილონ). ამ მიდგომით შეიძლება შეიქმნას კონკრეტული პროფესიული მიმართულებით გამოცდილება და შესაძლებლობები, რაც სხვაგვარად არ იქნება შესაძლებელი. ამავე დროს ეხმარებიან სკოლებსა და კოლეჯებს, რომლებსაც არ აქვთ სპეციალური აღჭურვილობა კურსების ორგანიზებისთვის.

“საუკეთესო ცენტრები” ხშირად მჭიდროდ უკავშირდება სხვა დაწესებულებებს, როგორც არის სექტორული უნარების საბჭო. ზოგადად ისინი შეისწავლიან რეგიონალურ და სექტორული უნარებს, პროფესიული პროგრამების და კვალიფიკაციების საჭიროებების იდენტიფიცირებას ახდენენ, შეიმუშავებენ კურიკულუმებს, პროგრამებსა და კვალიფიკაციებს და ზოგჯერ მათ შეიძლება შეასრულონ რეგიონალური ან სექტორული შეფასების ცენტრების როლი ან პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ჩარჩოს განხორციელების როლი.

პროექტის ტექნიკური დახმარება

ISWD პროექტის ტექნიკური დახმარების ფარგლებში არ შესრულებულა “საუკეთესო ცენტრების” კონცეფციასთან უშუალოდ დაკავშირებული აქტივობები. თუმცა, გუნდის ხელმძღვანელი მჭიდროდ თანამშრომლობა ევროკავშირის პროექტის და KfW-ს ექსპერტებთან, იდეების შემუშავების თაობაზე, თუ როგორ შეიძლება მხარი დაუჭიროს “საუკეთესო ცენტრების” კონცეფციამ პროფესიული განათლების რეფორმის პროცესს საქართველოში. “საუკეთესო ცენტრების” იდეა ასევე ნაგულისხმევია სექტორული უნარების საბჭოების კონცეფციის დოკუმენტში.

მიღწეული პროგრესი და სამომავლო მიმართულებები

„საუკეთესო ცენტრების“ კონცეფცია ხელს შეუწყობს პროფესიული განათლების რეფორმას. თუმცა, ტერმინი ახალია, და იმის გამო, რომ ცენტრების კონცეფცია ჯერ კიდევ არ არის შემუშავებული, არსებობს რისკი, რომ ტერმინი გამოიყენება ან ინტერპრეტირდება სხვადასხვა მოთამაშის მიერ სხვადასხვანაირად.

აღიარებული უნდა იყოს, რომ საერთაშორისო დახმარებით საქართველოს საჯარო, კერძო ან გაზიარებული PPP ინვესტიციებით დაფუძნებული ახალი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების არსი უნდა იყოს ‘excellent’; მაგრამ არსებობს საშიშროება, რომ თუ ასეთი ახლად დაფუძნებული დაწესებულებები მოიხსენებიან, როგორც “საუკეთესო ცენტრები”, უკვე არსებული დაწესებულებების მიღწევები, მათ შორის ისინი ვინც ადრე მიიღო ინვესტიცია შეიძლება გაურკვეველი გახდეს. საქართველოში უკვე ბევრი წარმატებული პროფესიული განათლების პროვაიდერია, და ყველა პროვაიდერი მართლაც ცდილობს წარმატების მიღწევას.

„საუკეთესო ცენტრებად“ უნდა მოვიხსენიოთ დაწესებულებები, რომლებიც აკმაყოფილებენ გარკვეულ კრიტერიუმებს ან პირობებს, რაც განასხვავებს მათ სხვა დაწესებულებებისგან. აქედან გამომდინარე, ცხადია, რომ საჭიროა მკაფიოდ განსაზღვრული „საუკეთესო ცენტრების“ -ის კონცეფცია. EU VEGE პროექტმა ამ მიმართულებით გარკვეული ნაბიჯი გადადგა, რომელიც შეიძლება გამოყენებული იყოს უფრო სრულყოფილი კონცეფციის მოსამზადებლად; ეს მნიშვნელოვანია საქართველოში პროფესიული განათლების შემდგომი განვითარებისთვის.

საქართველო საკმაოდ პატარა ქვეყანაა გეოგრაფიული მრავალფეროვნებით; პროფესიული განათლების პროვაიდერებმა რთულია და შესაძლოა არამდგრადიც, რომ ყველა სახის პროფესიულ კურსები ასწავლონ. ამ კონტექსტში, უფრო გამართლებულია მიდგომა, როდესაც კონკრეტული სასწავლებლები კონკრეტულ სპეციალობებს ასწავლიან (აქვთ სასწავლო გეგმა და მასალები, მასწავლებლისა და შემფასებლის მხარდაჭერა, სხვ.) და სხვა დაწესებულებებთან სერვისების გაზიარების მექანიზმები და რესურსები აქვთ (როგორც არის სტუდენტების ჩარიცხვა, სპეციალიზირებულ აღჭურვაზე ხელმისაწვდომობა, სასწავლო რესურსები და სხვა). ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ შემთხვევაში, როდესაც საჭიროა ახალი ან გაღრმავებული შრომის ბაზრის საჭიროებების დაკმაყოფილება რეგიონებში ანდა იმ რეგიონებში სადაც არ არსებობს კონკრეტული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება აუცილებელი ხდება პროფესიულ განათლებაში მონაწილეობის გაზრდა, ხოლო სკოლებსა და სხვა დაწესებულებებს უფრო შეზღუდული გამოცდილება აქვთ, ვიდრე სხვა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებს.

აქედან გამომდინარე რეკომენდირებულია:

- მომზადდეს “საუკეთესო ცენტრების” კონცეფციის; ჩამოყალიბდეს მიდგომა არსებული პროფესიული განათლების პროვაიდერების შემდგომი განვითარებისთვის და ახალ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ამ ფორმით ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით;
- კონცეფცია მჭიდროდ უნდა უკავშირდებოდეს სექტორული უნარების საბჭოების განვითარებას, PPP- ის ინიციატივების კოორდინირებას და დონორთა მხარდაჭერით ახალი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ჩამოყალიბების.
- კონცეფცია განხილული და შეთანხმებული უნდა იყოს პროფესიული განათლების დაინტერესებულ მხარეებთან, მათ შორის ეროვნული პროფესიულ საბჭოსთან;

ასევე ასახული უნდა იყოს პროფესიული განათლების სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმაში.

3.5 TVET- ის პოპულარიზება - ეფექტური TVET კომუნიკაციის მნიშვნელობა

შესავალი:

მიუხედავად პროფესიული განათლების მნიშვნელობისა და მზარდი ინვესტიციებისა, ახალგაზრდების უმრავლესობისათვის ეს არ არის სასურველი საგანმანათლებლო გზა; ახალგაზრდებს ნაკლები ინფორმაცია აქვთ პოტენციური სარგებელის შესახებ; სწორედ ამ მიზნით სამინისტრომ სთხოვა დახმარება ISWD პროექტს, პროფესიული განათლების პოპულარიზების მიდგომის შემუშავებაში; აქ მოიაზრებოდა შემდეგი აქტივობები: პროფესიული განათლების მნიშვნელობის შესახებ ცნობიერების ამაღლება, მისი იმიჯის გაუმჯობესება და მიმზიდველობის გაზრდა.

ევროკავშირის მხარდაჭერით განათლების სამინისტრომ განახორციელა პროფესიული განათლების ბრენდინგი; ის აქცენტს აკეთებს ისეთ საკითხებზე როგორცაა დასაქმების ან თვით-დასაქმების შესაძლებლობები, დამოკიდებულების შეცვლა პროფესიული განათლების მიმართ და მისი გააზრება, როგორც შრომის ბაზრისთვის კომპეტენტური სამუშაო ძალის მიწოდების შესაძლებლობა.

ISWD პროექტის როლი იყო პროფესიული განათლების საკომუნიკაციო გეგმის შემუშავება, მათ შორის TVET-ის კომუნიკაციის ძირითადი მესიჯების და კამპანიის სტრატეგიის შემუშავება 2018-19 წლებისთვის.

პროექტის ტექნიკური დახმარება:

ISWD პროექტმა აიყვანა კონსულტანტები რომელთაც საკომუნიკაციო გეგმა შეიმუშავეს განათლების სამინისტროსთან მჭიდრო თანამშრომლობით. კონსულტანტებმა განსაზღვრეს სტრატეგიული ამოცანები და მარკეტინგული მიზნები, სამიზნე ჯგუფების ანალიზი (მათ შორის საკომუნიკაციო არხები და წახალისებები), შეიქმნა ბრენდირების გეგმა, შეიმუშავეს საკომუნიკაციო სტრატეგია, რომელიც ორიენტირებული იყო საზოგადოებრივი აზრის შეცვლაზე პროფესიულ განათლებასთან დაკავშირებით; ასევე პირველი წლისთვის მოამზადეს კამპანიის დეტალური გეგმა მათ შორის მედიის და კამპანიის ღონისძიებები. მასში ასევე შედის მედიის ანალიზი და შედეგების შეფასების გეგმა.

განათლების სამინისტრომ მიიღო გეგმა 2017 წლის შუა პერიოდში და მისი განხორციელება ამჟამად მიმდინარეობს.

მიღწეული პროგრესი და სამომავლო მიმართულებები

ნათელია, რომ ბოლო დრომდე, პროფესიული განათლების შესახებ კომუნიკაცია სუსტი იყო, რომელიც აისახება პროფესიული განათლების მიმართ საზოგადოების დამოკიდებულებასა და მიმართვიანობაზე. საკომუნიკაციო გეგმა არის ხანგრძლივი პროცესის პირველი ნაბიჯი; წლებია საჭირო საზოგადოების დამოკიდებულებების შესაცვლელად. თუმცა, მისი წარმატება მნიშვნელოვანია მთავრობის მიერ პროფესიული განათლების ამბიციური მიზნების მისაღწევად, როგორცაა პროფესიული განათლების გაფართოება და კვალიფიციური კადრების მომზადება ბიზნესის საჭიროებების დასაკმაყოფილებლად.

სამომავლო ქმედებები უნდა მოიცავდეს:

- პროფესიული განათლების საკომუნიკაციო გეგმის განხორციელების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის პროფესიული განათლების ბრენდინგის ანალიზსა და საზოგადოების აღქმის შესწავლას;
- TVET კამპანიის იდეებისა და გეგმების მომზადება 2019/20-თვის; ეს აქტივობა შესაძლოა გადაეცეს კომპეტენტურ PR-ის კომპანიას სამინისტროს თანამშრომლების წინადადებისა და პროექტის საფუძველზე;
- პროფესიული განათლების სისტემის (MESCS, NCEQE, NTPDC, პროფესიული განათლების პროვაიდერები) ყველა დონეზე შესაძლებლობების გაძლიერება პროფესიული განათლების საკომუნიკაციო აქტივობების გასაუმჯობესებლად.

3.6 კარიერული განათლება და დაგეგმვა

შესავალი:

კარიერული განათლება და დაგეგმვა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ახალგაზრდებისთვისაა, რადგან მათ ეხმარება კარიერის განსაზღვრაში, თავიანთი ამბიციების განხორციელებასა და კარიერის დაგეგმვაში. საქართველოში ახალგაზრდების უმუშევრობის ერთ-ერთი მიზეზი ისიცაა, რომ მათ უწევთ არაინფორმირებული კარიერული გადაწყვეტილებების მიღება. ამ პროცესში პროფესიონალი, კვალიფიციური კარიერის კონსულტანტი უნდა აწვდიდეს ახალგაზრდას ამომწურავ ინფორმაციას და ეხმარებოდეს ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღებაში.

მიუხედავად იმისა, რომ განათლება ქვეყნის პრიორიტეტია, კარიერული განათლება და დაგეგმვა ჯერ კიდევ საბაზისო დონეზე. ISWD პროექტის ინტერვენციები განათლების სამინისტროსთან ერთად განისაზღვრა; ეს ძირითადად ეხებოდა მე-9 კლასში კარიერული განათლების განვითარების მხარდაჭერას, პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში კარიერული განათლების და დაგეგმვის გაუმჯობესებას და მოდერნიზებას.

პროექტის ტექნიკური დახმარება

საწყის ეტაპზე მომზადდა საქართველოში უწყვეტი პროფესიული განათლების და კარიერული კონსულტაციის განვითარების კონცეპტუალური დოკუმენტი, გამოიყო მთელი რიგი გამოწვევები, მათ შორის მასწავლებლების და კარიერის მენეჯერების შეზღუდული შესაძლებლობები და მართვისა და კოორდინაციის ნაკლებობა. ასევე ჩამოყალიბდა მიდგომა და ხედვა სკოლებსა და კოლეჯებში კარიერის უფრო ეფექტური სისტემის შემუშავებისთვის, მათ შორის იყო საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და ბიზნეს სექტორს შორის თანამშრომლობის განვითარება.

ტექნიკური დახმარება ძირითადად შეეხო პროფესიული კოლეჯების კარიერის მენეჯერების და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში კარიერის კოორდინატორების შესაძლებლობების განვითარებას; მათ შორისაა შემდეგი აქტივობები:

- მომზადდა კარიერული განათლებისა და დაგეგმვის სახელმძღვანელო. სახელმძღვანელო მოიცავს სხვადასხვა თეორიებს, მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის დაგეგმვის მოდელს, და კარიერული განათლების დაგეგმვის, განხორციელების და შეფასების პრაქტიკულ რეკომენდაციებს და ხარისხის სახელმძღვანელოებს.
- მომზადდა საუკეთესო პრაქტიკის სახელმძღვანელო კურსდამთავრებულთა შრომის ბაზარზე გასვლის (ე.წ Destination study) სტატისტიკის შეგროვების შესახებ;
- მომზადდა სასწავლო პაკეტი, რომელთა მიზანია ახალგაზრდების დახმარება სკოლიდან შრომის ბაზარზე გასვლისას; აქცენტი გაკეთდა STEM სფეროზე
- ჩატარდა კარიერული განათლების და დაგეგმვის ტრენინგების ხუთი რაუნდი, სადაც მონაწილეობა მიიღო დაახლოებით 120-მა მონაწილემ, კარიერული განათლების და დაგეგმვის ტრენინგების გადამზადების ორი კურსი, სადაც მონაწილეობა მიიღო 53 მონაწილემ და ორი სემინარი 30 მონაწილის ჩართულობით.

- მომზადდა კოლეჯში კარიერის მენეჯერების სამუშაო აღწერილობა, თვით-შეფასების კითხვარით და თანამშრომელთა განვითარების სახელმძღვანელოები.
- სამ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში განხორციელდა სტუდენტთა კარიერული არჩევანის სტატისტიკის შეგროვების პილოტირება და ანალიზი, მომზადდა საუკეთესო პრაქტიკის სახელმძღვანელოები.
- თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან ჩატარდა კონსულტაცია კარიერის მენეჯერების და კარიერის კოორდინატორების პროფესიული განვითარების შესახებ; განიხილეს სამაგისტრო პროგრამის განხორციელებაზე გაერთიანებული სამეფოს უნივერსიტეტთან პარტნიორობით.

მიღწეული პროგრესი და სამომავლო მიმართულებები

სატრენინგო მასალები მომზადდა სკოლებში მასწავლებლებისა პროფესიული კოლეჯების კარიერის მენეჯერების მხარდასაჭერად. მასალები გადაეცა პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტს. მნიშვნელოვანია სკოლებსა და კოლეჯებში კარიერული განათლების და კარიერული კონსულტაციის მხარდაჭერის გაგრძელება. შემდგომი აქტივობები უნდა მოიცავდეს:

- სკოლებსა და კოლეჯებში კარიერული განათლებისა და დაგეგმვის მართვა, კოორდინაცია და მხარდაჭერა: სამინისტროს ქვეშ უნდა ჩამოყალიბდეს ეფექტური კოორდინაციის, მხარდაჭერის და მონიტორინგის მექანიზმები, რაც მნიშვნელოვანია პროცესის ეფექტურად განხორციელებისათვის. პროფესიული განათლების სფეროში ეს ფუნქცია უნდა შეასრულოს პროფესიული განათლების განვითარების შესაბამისმა სამმართველომ.
- კარიერული განათლების და დაგეგმვის მართვა და კოორდინაცია სკოლის/კოლეჯის დონეზე: ყველა დაწესებულებას უნდა ჰქონდეს მკაფიო პოლიტიკა კარიერული განათლებისა და დაგეგმვის უზრუნველსაყოფად, მათ შორის თანამშრომლები და რესურსები, გეგმები, ბიზნეს სექტორთან პარტნიორობა, რისკების პროგნოზირება, შეფასება და შემცირება. გარდა ამისა, დირექტორებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ყველა თანამშრომელმა გააცნობიეროს კარიერული განათლებისა და დაგეგმვის მნიშვნელობა, და მონაწილეობა მიიღოს კარიერული განათლების და დაგეგმვის პოლიტიკის განხორციელებაში.
- საინფორმაციო ლიტერატურის და რესურსების მომზადება. საგანმანათლებლო დაწესებულებებში მნიშვნელოვანია კარიერული ბიბლიოთეკების განვითარება; ბიბლიოთეკაში უნდა შევიდეს განახლებული ელ. ინფორმაცია პროფესიების და შრომის ბაზრის მოთხოვნების შესახებ; ასევე უნდა მომზადდეს საგაკვეთილო გეგმები და საკლასო აქტივობები კარიერული განათლების დანერგვის ხელშეწყობის მიზნით.
- უწყვეტი გადამზადება და შესაძლებლობების გაძლიერება: სადაც კარიერული განათლების გაკვეთილებს საგნობრივი მასწავლებლები ატარებენ, ისინი უნდა გადამზადდნენ ამ მიმართულებით. ISWD პროექტის ფარგლებში გადამზადებული კარიერის მენეჯერები შეიძლება გამოყენებულ იქნას ამგვარი ტრენინგების ჩასატარებლად ან კოორდინაციის გასაწევად, კასკადური მეთოდის საშუალებით.
- კარიერული დაგეგმვის პროფესიის ჩამოყალიბება: კარიერის მენეჯერების და მრჩეველების გასაზრდელად, უნდა შემუშავდეს სამაგისტრო პროგრამა; მხოლოდ

კვალიფიციურ კადრს უნდა შეეძლოს ამ მიმართულებით მუშაობა; საუნივერსიტეტო ხარისხის გარდა მნიშვნელოვანია უწყვეტი პროფესიული განათლების უზრუნველყოფა.

- სტუდენტთა არჩევანის კვლევა: პროფესიული განათლების კურსდამთავრებულთა შესახებ უფრო ამომწურავი სურათის მისაღებად და სკოლებსა და კოლეჯებში კარიერული განათლებისა და დაგეგმვის ხელშესაწყობად, კურსდამთავრებულთა კვლევები უნდა გაფართოვდეს და განვითარდეს; უნდა მოხდეს დაწესებულებებს შორის სტანდარტიზაცია. მნიშვნელოვანია კურსდამთავრებულთა კვლევის შედეგების გამოყენება, მაგალითად მარკეტინგის, რეკრუტირების, და კარიერული ინფორმაციის მიწოდებისას.

3.7 პროფესიული განათლების დაფინანსების ახალი მოდელის შემუშავება

შესავალი:

ISWD პროექტის მესამე წელს, სამინისტრომ პროექტს სთხოვა დახმარება პროფესიული განათლების დაფინანსების მოდელის შემუშავებასთან დაკავშირებით; ეს აქტივობა ბოლო 6 თვის განმავლობაში განხორციელდა.

თუმცა, ცხადია, რომ პროფესიული განათლების საჭიროებები და გამოწვევები მოითხოვს დაფინანსების უფრო გრძელვადიან განხილვას; მნიშვნელოვანია სხვა ქვეყნების სხვადასხვა დაფინანსების მოდელების მოკვლევა და პროფესიული განათლების სისტემის დაფინანსების ახალი მოდელის შემუშავება საქართველოს საჭიროებებს შესაბამისად,

პროექტის ტექნიკური დახმარება

ISWD პროექტის ტექნიკური დახმარება ძალიან სპეციფიკური იყო და მოიცავდა შემდეგ მიმართულებებს:

- ახალი მოდულური პროფესიული პროგრამების განფასება, მათ შორის MCA-საქართველოს საგრანტო კონკურსის ფარგლებში შემუშავებული პროგრამების; ვაუჩერების ღირებულება განისაზღვრა მოდულების მიხედვით, რაც სტუდენტების ხარჯების სრულად დაფარავს.
- პროფესიული განათლების სამოქმედო გეგმის განხორციელებისთვის ბიუჯეტის განახლება დარჩენილი პერიოდის განმავლობაში.
- პროფესიული განათლების ახალი კანონის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯთაღრიცხვის შეფასება, რომელიც პარლამენტში კანონთან ერთად იქნა წარდგენილი;
- რეკომენდაციების ჩამოყალიბება არსებული პროფესიული განათლების ვაუჩერის სქემის მოქნილობის გასაუმჯობესებლად. მათ შორისაა დაფინანსების გაფართოება, და სტუდენტების დაფინანსება კერძო კოლეჯებში და უნივერსიტეტებში.

გარდა ამისა, პროექტმა NCEQE-თვის დაიანგარიშა ხარისხის უზრუნველყოფის ჩარჩოს პროცედურებში ცვლილებების შეტანისთვის და არაფორმალური განათლების აღიარებისთვის საჭირო დაფინანსება; ასევე შესთავაზა სექტორული უნარების საბჭოების დაფინანსების ალტერნატიული მექანიზმები.

მიღწეული პროგრესი და სამომავლო მიმართულებები

როგორც ამ დოკუმენტის მეორე ნაწილშია აღნიშნული, არსებული დაფინანსების სისტემას მთელი რიგი გამოწვევები აქვს შემდეგი მიმართულებებით: პროფესიული განათლების განვითარების საჭიროება, პროფესიული განათლების ინფრასტრუქტურის ხარჯები, მათ შორის ახალი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ჩამოყალიბება ქვეყნის სხვა ნაწილში, ხარისხის ახალი სისტემების და პროფესიული განათლების სხვადასხვა ფორმების დანერგვა, მათ შორის სამუშაოზე დაფუძნებული სწავლება; გასათვალისწინებელია, რომ არსებობს მოსაზრება, რომ დაფინანსება დაუკავშირდეს ინსტიტუციონალური მუშაობასა და მოღწეულ შედეგებს, სხვადასხვა

ფუნქციები გავიდეს აუტოსორსინგზე, მათ შორის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მენეჯმენტი.

ამდენად, საჭიროა დაფინანსების საჭიროებების და ალტერნატიული დაფინანსების მოდელების ფუნდამენტური შესწავლა, პროფესიული განათლების დაფინანსების მოდელის შემუშავება სისტემის შემდგომი განვითარებისა და რეფორმის მხარდასაჭერად. კვლევამ უნდა სრულად გაითვალისწინოს საჯარო-კერძო პარტნიორობის პოლიტიკა და კერძო დაფინანსების შესაძლებლობა; დეტალურად უნდა გაანალიზდეს პოტენციური რისკები და სარგებელი. სახელმწიფო დაფინანსების გარდა გათვალისწინებული უნდა იყოს შემოსავლის გენერირების სხვა შესაძლებლობები და თვით-დაფინანსება.

სასურველია შემდგომმა საერთაშორისო ტექნიკურმა დახმარებამ განიხილოს დაფინანსების მოდელი ადგილობრივი და საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების ჩართულობით.

3.8 კომპეტენციაზე დაფუძნებული ტრენინგი და შეფასება

შესავალი:

კომპეტენციაზე დაფუძნებული ტრენინგი და შეფასება ISWD პროექტის ტექნიკური დახმარების ერთ-ერთი ძირითად ნაწილი იყო. ეს დაკავშირებული იყო ახალი მოდულური პროფესიული საკვალიფიკაციო პროგრამების შემუშავებასთან პროფესიული სტანდარტების საფუძველზე; ეს ასევე წარმოადგენს სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფართო მასშტაბით განხორციელების წინაპირობას, რომელიც პროფესიული განათლების სისტემის რეფორმების ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია.

მასწავლებელთა პედაგოგიური უნარების განვითარება, და სწავლება-შეფასების მოდერნიზაცია ერთ-ერთ მთავარ გამოწვევას წარმოადგენს. იმის გამო, რომ პროფესიული მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებას სხვა დონორებიც უჭერდნენ მხარს, საჭირო იყო ISWD პროექტის მიმართულებების მკაფიოდ განსაზღვრა; შეთანხმების თანახმად, კომპეტენციაზე დაფუძნებული ტრენინგი და შეფასების ნაწილში პროექტმა დახმარება გაუწია მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრს; ასევე ერთობლივად მომზადდა პროფესიული მასწავლებლებისთვის ახალი პროფესიული განვითარების პროგრამები.

პროექტის ტექნიკური დახმარება

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრმა პროექტის დახმარებით ჩაატარა ტრენინგის საჭიროებების ანალიზი საჯარო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების 830 მასწავლებელთან. ანგარიშის საფუძველზე განისაზღვრა ტრენინგის თემატიკა, მომზადდა სხვადასხვა რესურსები მათ შორის ინკლუზიური განათლების პრინციპების გათვალისწინებით. კვლევის შედეგები ცენტრმა ასევე გამოიყენა მასწავლებელთა შესაძლებლობების გაძლიერების მიზნით.

ასე ჩატარდა კომპეტენციებს დაფუძნებული შეფასების ტრენინგის საჭიროებათა ანალიზი 230 პროფესიულ მასწავლებელთან; შედეგების საფუძველზე დაიგეგმა მასწავლებლებისთვის კომპეტენციაზე დაფუძნებული შეფასების სამდღიანი (15საათი) ტრენინგ-მოდული და მომზადდა მასალები, რომელსაც პილოტირება TPDC-თან ერთად ჩატარდა. TPDC-მ შემდეგ ყველა მასწავლებელთან ჩაატარა ეს ტრენინგი.

NTPDC-ის მოთხოვნით, შემუშავდა და დაინერგა ტრენერთა ტრენინგი (TOT) ცენტრის მიერ გამოყოფილი ტრენერებისთვის.

შემუშავდა ტრენინგ-პაკეტი, მასალები და განხორციელდა მათი პილოტირება, მათ შორის:

- კომპეტენციაზე დაფუძნებული ტრენინგისა და შეფასების ორი მოდული, რომელიც მიზნად ისახავდა პროფესიული მასწავლებლების და ინსტრუქტორების გადამზადებას. პილოტირება განხორციელდა სამშენებლო და ინფორმაციული ტექნოლოგიების მიმართულების მასწავლებლებთან და ინსტრუქტორებთან.
- შემუშავდა კომპეტენციაზე დაფუძნებული შეფასების დაგეგმვისა და მიწოდების სამდღიანი მოდული, დამხმარე მასალები და ჩატარდა პილოტირება. ტრენინგები შემდგომში გააგრძელა NTPDC-იმ.
- NTPDC-თან ერთად შემუშავდა და განხორციელდა შესაძლებლობების გაძლიერების ტრენინგები და სემინარები, მათ შორის: კომპეტენციაზე დაფუძნებული შეფასების დაგეგმვა; კომპეტენციაზე დაფუძნებული შეფასების

შესახებ ტრენერთა ტრენინგი; მასალები პილოტირდა NTPDC-ის თანამშრომლებთან, ტრენერებთან, კონსულტანტებთან და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ერთად; მონაწილეობა მიიღო 170-ზე მეტმა პირმა. სხვადასხვა სასწავლო პაკეტები და მასალები გადაეცა NTPDC-ს ამ აქტივობების გაგრძელების მიზნით.

გარდა ტრენინგ მოდულების, პაკეტების და მასალებისა, შემუშავდა კომპეტენციაზე დაფუძნებული შეფასების სახელმძღვანელოც, რომელიც მოიცავს მეთოდოლოგიურ დაგეგმვას, პრაქტიკულ ქეისებს და სავარჯიშოებს.

მიღწეული პროგრესი და სამომავლო მიმართულებები

კომპეტენციაზე დაფუძნებული ტრენინგის და შეფასების ეფექტური განხორციელება გამოწვევაა იმ ქვეყანებში, რომლებსაც აქვთ შედეგებზე დაფუძნებული პროფესიული განათლების სისტემები; ხშირ შემთხვევაში შეფასება წარმოადგენს კვალიფიკაციების მინიჭების მთელი პროცესის ყველაზე სუსტ რგოლს; არც საქართველო არის ამ მხრივ გამონაკლისი; თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ კომპეტენციებს დაფუძნებული შეფასება წარმატებით დაიწყო. ამ პროგრესის შენარჩუნება და ხარისხის გაუმჯობესება ძალიან მნიშვნელოვანია. ხარისხის უზრუნველყოფის ჩარჩოს გარე ვერიფიკაციის პილოტირების პროცესში გამოვლინდა კვალიფიკაციის შეფასების სუსტი მხარეები; ეს საკითხი საჭიროებს განხილვას, როგორცაა მოდულის მახასიათებლებში დეტალური შეფასების მოთხოვნების გადახედვა, შემფასებლების მიერ ვალიდური შეფასების ინსტრუმენტების შერჩევა/შექმნა და შეფასების განხორციელება.

NTPDC-ის მთავარი გამოწვევაა მასწავლებელთა კომპეტენციების გაუმჯობესება კომპეტენციებზე დაფუძნებული სწავლებასა და შეფასებაში, როგორც პროფესიაში შესვლამდე ასევე მის შემდეგ; ეს მოიცავს პროფესიული კომპეტენციების და პედაგოგიური უნარ-ჩვევების გაუმჯობესებას. ამ საკითხთან დაკავშირებით, საჭიროა NCEQE-თან უფრო მჭიდრო თანამშრომლობა, რათა ტრენინგები შეესაბამებოდეს ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოს და საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. კომპეტენციებზე დაფუძნებული სწავლებისა და შეფასების შემდგომი მიმართულება შესაძლოა მოიცავდეს:

- პროფესიული მასწავლებლების და ინსტრუქტორების ტრენინგსა და გადამზადებას, შესაბამისი მოდულების, სატრენინგო პაკეტების და მასალების გამოყენებით, რომელიც შემუშავებულია ISWD პროექტის დახმარებით.
- პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიის სტატუსის გაუმჯობესება, რათა მოხდეს ახალი კადრების მოზიდვა, მათ შორის ბიზნეს სექტორიდან.
- პროფესიული პროგრამების დაგეგმვასა და განხორციელებაში ბიზნესის ჩართულობა, მათ შორის სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების გზით, რომელიც ხორციელდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პროვაიდერებისა და კომპანიების პარტნიორობით; ეს მოითხოვს კომპანიის პერსონალისთვის შესაბამისი პედაგოგიური და შეფასების უნარების განვითარებას.
- უწყვეტი პროფესიული განვითარების (CPD) ფარგლებში მასწავლებელთა ცოდნის სისტემატიური განახლება შრომის ბაზრის მოთხოვნებთან დაკავშირებით, რომელიც შეიძლება მოიცავდეს ცოდნის გაზიარებას საგანმანათლებლო სექტორსა და ბიზნეს სექტორს შორის პარტნიორობის კონტექსტში.

- NTPDC-თვის მექანიზმის შემუშავება პროფესიული მასწავლებლების უწყვეტი პროფესიული განვითარების აქტივობების ხარისხის მონიტორინგისა და შეფასების განსახორციელებლად.

3.9 ზრდასრულთა განათლება

შესავალი:

ზრდასრულთა განათლება, მომზადება-გადამზადება ამ ეტაპზე საქართველოს პროფესიული განათლების სისტემისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტია, რაც ხელს უწყობს შრომის ბაზრის სამუშაო ძალით დაკმაყოფილებას. საქართველოში ზრდასრულთა განათლების და მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლების შესაძლებლობები საკმაოდ შეზღუდულია და ჩამორჩება ევროპის და სხვა მოწინავე ქვეყნების მაჩვენებლებს. ზრდასრულთათვის კვალიფიკაციის მინიჭება მნიშვნელოვანია როგორც მეორე შესაძლებლობა, მაგალითად, მათთვის ვინც ბრუნდება შრომის ბაზარზე კარიერული წყვეტის ან სხვა მიზეზის გამო, უმუშევრებისთვის, მათთვის ვინც არის სამუშაოს დაკარგვის რისკის ქვეშ, მათ უნარებზე მოთხოვნების ცვლილების გამო.

საქართველოში ზრდასრულთა სწავლება ძირითადად არაფრომალურია და მთავრობის ინტერვენციის მასშტაბებიც შეზღუდულია. თუმცა, ზრდასრულების განათლებაში მონაწილეობის დაბალმა მაჩვენებელმა, NEET-ის ('Not in Employment, Education or Training') პრობლემამ, და უნარების შეუსაბამობამ სამინისტროს პროფესიული განათლების დღის წესრიგში ზრდასრულთა განათლება წამოწია. 2018 წელს სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტში შეიქმნა ახალი სამმართველო ზრდასრულთა განათლების შესახებ; მისი მიზანია ახალი ინიციატივების ხელსეწყობა და ზრდასრულთა განათლების უზრუნველყოფა ქვეყნის საჭიროებების შესაბამისად.

პროექტის ტექნიკური დახმარება

ტექნიკური დახმარების მესამე და ბოლო წელს, ISWD პროექტმა ზრდასრულთა განათლების მიმართულებით სამინისტროსთან ერთად მთელი რიგი აქტივობები განახორციელა. ეს მოიცავდა ზრდასრულთა განათლების სიტუაციურ ანალიზს; დამსაქმებელთა (უმეტესად მსხვილი) კვლევას დასაქმებულთა ტრენინგისა და განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით; დამსაქმებლების დამოკიდებულებების შეფასებას სამინისტროსთან და პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობასთან დაკავშირებით, ზრდასრულთა განათლების შესაძლებლობის გაფართოებას, სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ჩათვლით.

მიუხედავად იმისა, რომ ტექნიკური დახმარების კომპონენტი დასრულდა 2018 წლის მარტში, შეგროვებული ინფორმაცია გამოყენებული იყო ზრდასრულთა სწავლების კონცეფციის დოკუმენტის მოსამზადებლად; კონცეფცია სამინისტროს პროფესიული განათლების დეპარტამენტის მოთხოვნით 2018 წლის ბოლოს შემუშავდა; დოკუმენტი უზრუნველყოფს ზრდასრულთა განათლების ხედვას დამოკლე, საშუალო და გრძელვადიანი განვითარების პერსპექტივას; ზრდასრულთათვის მოკლევადიანი მომზადება - გადამზადების პროგრამების შემუშავებას.

მიღწეული პროგრესი და სამომავლო მიმართულებები

კონცეფციის დოკუმენტით არ უნდა მოხდეს ზრდასრულთა სწავლების ზედმეტი რეგულირება ან ფორმალიზება, თუმცა ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოში ზრდასრულთა სწავლების ავტორიზებული პროგრამების სერთიფიკატების შეტანა მნიშვნელოვანია. სამინისტროს რეკომენდაცია მიეცა, რომ:

- შექმნას გარემო, რომელიც ხელს შეუწყობს ზრდასრულთა განათლების განვითარებას და გაფართოებას;

- საჭიროების შემთხვევაში, განსაზღვროს პრიორიტეტული მიმართულებები ზრდასრულთა განათლების განვითარების უზრუნველსაყოფად, და აქტიურად დაუჭიროს მხარი პროგრამების შემუშავებას და განხორციელებას.

ზრდასრულთა პროგრამები, როგორც წესი მოკლევადიანია 6 თვემდე ან ნაკლები ხანგრძლივობის; ისინი განხორციელდება ინოვაციურ და მოქნილი მიდგომის საფუძველზე, მათ შორის დისტანციური სწავლების გამოყენებით. სექტორული ორგანიზაციებისა და დამსაქმებლების ხედვები გათვალისწინებული უნდა იყოს შრომის ბაზრის შესაბამისობის უზრუნველსაყოფად. ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოში ჩართვისთვის, პროგრამა და პროვაიდერი ავტორიზირებული უნდა იყოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ, მაგრამ ავტორიზაციის პროცედურებში გამოყენებული უნდა იყოს გამარტივებულ კრიტერიუმები. პროგრამები უნდა იყოს ხარისხიანი, რომ დამსაქმებლებმა აღიარონ სერტიფიკატები.

ფინანსური რესურსების ნაკლებობა არის ზრდასრულთა განათლებაში მონაწილეობის ერთ-ერთი ძირითადი ბარიერი. ამიტომ, ზრდასრულთა მომზადება-გადამზადებისთვის უზრუნველყოფილი უნდა იყოს შესაბამისი დაფინანსება. უნდა მოხდეს სხვადასხვა ვარიანტების შესწავლა, მათ შორის:

- პროფესიული განათლების ვაუჩერული სისტემის გაფართოება გარკვეული პრიორიტეტების გათვალისწინებით, ისეთი მიზნობრივი ჯგუფებისთვის, როგორც არის NEETs და პრიორიტეტული რეგიონები.
- სტიპენდიების გამოყოფა სტაჟირებისთვის, რომელიც მოიცავს სამუშაოზე დაფუძნებული სწავლებას; ან საგანმანათლებლო გრანტების უზრუნველყოფა იმ მსმენელებისთვის, რომელთაც შეზღუდული ფინანსები აქვთ.
- იმ პირების წახალისება, რომლებიც თავად აფინანსებენ სწავლას, მაგალითად, საგადასახადო შეღავათების შეღავაზება, აღიარებული პროფესიული განათლების კვალიფიკაციებისთვის სწავლის ღირებულების გაუქმება.
- კომპანიების წახალისება სამუშაო ძალის განვითარებაში ჩადონ იმვესტიციები, მაგალითად, დასაქმებულთა კონკრეტული ტრენინგისათვის საგადასახადო ვალდებულებების გაუქმებით.
- საჯარო/კერძო პარტნიორობის ფარგლებში კერძო სექტორის პარტნიორებთან ზრდასრულთა განათლების დაფინანსების გაზიარება.

მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლაში ჩართულობის გაზრდის მიზნით, ზრდასრულთა სწავლების პოლიტიკა უნდა განმტკიცდეს ეფექტური კომუნიკაციის სტრატეგიით. ასევე საჭიროა ე.წ. შუამავალ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა რათა მათ ინფორმაცია გაავრცელონ და პოტენციურ ზრდასრულებს მიაწოდონ. ასევე ყურადღება უნდა მიექცეს მიღების მოთხოვნებს, რომლებიც, როგორც წესი, უნდა იყოს უფრო მოქნილი, ვიდრე სკოლიდან პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩაბარების მოთხოვნები.

პრიორიტეტებმა და დაფინანსებამ ხელი უნდა შეუწყოს ევროკავშირი 2020-ის მიზნების მიღწევას. პრიორიტეტები და მიზნები უნდა ჩამოყალიბდეს შესაბამის დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციის საფუძველზე, მათ შორის ადგილობრივი თვითმმართველობასთან, სოციალური პარტნიორებთან და სამოქალაქო საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით. ზრდასრულთა სწავლების განვითარებისა და განხორციელებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია განათლებისა და ბიზნეს შორის ეფექტურ პარტნიორობის ჩამოყალიბება.

შემდეგი ნაბიჯები უნდა მოიცავდეს:

- პროფესიული განათლების სტრატეგიის განხორციელების გეგმის განხილვას; საჭიროების შემთხვევაში უნდა მოხდეს ზრდასრულთა განათლებასთან დაკავშირებულ აქტივობების შეტანა.
- დაინტერესებულ პირთა კონსულტაციის ინიცირებას მათ შორის ეროვნული პროფესიული საბჭოს ფარგლებში. შესაძლებელია ახალი თემატური სამუშაო ჯგუფის ჩამოყალიბება სადაც გაერთიანდებიან ზრდასრულთა განათლებით დაინტერესებული მხარეები; თემატურმა სამუშაო ჯგუფმა კონსულტაცია უნდა გაუწიოს სამინისტროს საქართველოში ზრდასრულთა განათლების განვითარებასთან დაკავშირებით.
- დეტალური გზამკვლევის ჩამოყალიბება, რომელშიც აისახება ზრდასრულთა პოლიტიკის განხორციელები მოკლე, საშუალო და გრძელვადიან მიზნები და ინდიკატორები.

3.10 არაფორმალური და ინფორმალური განათლების აღიარება (VNFIL)

შესავალი:

2010 წელს დამტკიცდა რეგულაცია, რომელიც პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებს აძლევს საშუალებას აღიარონ ფორმალური პროფესიული განათლების სისტემის გარეთ სწავლების მიღწევები; ამის საფუძველზე კანდიდატს შეიძლება მიენიჭოს ან სრული კვალიფიკაცია ან კრედიტი, ან ნაწილობრივი კვალიფიკაცია. თუმცა, მისი დანერგვა ძალიან შეზღუდული იყო, რადგან პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები არაფორმალური განათლების აღიარებას ძირითადად იყენებდნენ მე-4 დონეზე ხელმისაწვდომობის მიზნით იმ ახალგაზრდებისათვის, რომლებსაც არ ჰქონდათ მიღწეული მე-3 დონე. 2013 წელს ევროპის განათლების ფონდმა დაიწყო პროექტი არაფორმალური და ინფორმალური განათლების კონცეფციის შემუშავება ევროპული საკვალიფიკაციო ჩარჩოს პრაქტიკის შესაბამისად.

პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგია 2013-2020 უზრუნველყოფს არაფორმალური განათლების აღიარების საფუძველს; 2015 წელს სამინისტრომ ISWD პროექტს სთხოვა დახმარება არაფორმალური განათლების აღიარების პილოტირებასა და განხორციელებაში ETF-ის მხარდაჭერით მომზადებული კონცეფციის საფუძველზე.

პროექტის ტექნიკური დახმარება

ISWD პროექტის დახმარების ძირითადი მიზნი იყო განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის და ეროვნული პროფესიული საბჭოს არაფორმალური განათლების აღიარების თემატური სამუშაო ჯგუფის მხარდაჭერა. ტექნიკური დახმარება შეეხებო შემდეგ საკითხებს:

- მომზადდა საქართველოში არაფორმალური განათლების აღიარების დარერგვის კონცეფციის დოკუმენტი, რომელშიც შევიდა არსებული სიტუაციის მიმოხილვა, არაფორმალური განათლების აღიარების განხორციელებისთვის საჭირო წინაპირობები, გამოწვევები, განხორციელების მიდგომა და რეკომენდაციები, პორტფოლიოს შეფასებაზე დაფუძნებით. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან და თემატურ სამუშაო ჯგუფთან შეთანხმებით, ეს სამუშაო დოკუმენტი გამოყენებული იყო არაფორმალური განათლების აღიარების პილოტირებისას.
- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისთვის მომზადდა არაფორმალური განათლების აღიარების დაფინანსების ვარიანტები.
- მომზადდა არაფორმალური განათლების აღიარების სახელმძღვანელო, რომელიც მოიცავს არაფორმალური განათლების აღიარების 4 ეტაპს: პირის კომპეტენციების იდენტიფიცირება, სწავლების შედეგების დოკუმენტირება, წარმოდგენილი მტკიცებულების შეფასება, და სერტიფიცირება, რომელიც ადასტურებს პირის სწავლების შედეგების მიღწევას. სახელმძღვანელო მოიცავს შეფასების დეტალურ დაგეგმვას, მათ შორის შეფასების მეთოდებს. სახელმძღვანელო შეთანხმებული იყო თემატურ სამუშაო ჯგუფთან და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან.

- შეიქმნა არაფორმალური განათლების აღიარების მრჩეველის ახალი სამუშაო აღწერილობა, რომელიც განსაზღვრავს მრჩეველის უნარებს და კომპეტენციებს, მოვალეობებსა და პასუხისმგებლობებს.
- ჩატარდა არაფორმალური განათლების აღიარების მცირე ზომის პილოტაჟი ორი პროფესიული მიმართულებაში. შემუშავდა პილოტაჟის მონიტორინგისა და შეფასების სახელმძღვანელოც.
- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრთან ერთად შემუშავდა არაფორმალური განათლების აღიარების განხორციელების განახლებული რეგულაცია.
- ჩატარდა შესაძლებლობების გაძლიერების აქტივობები; არაფორმალური განათლების აღიარების ინტენსიური ტრენინგი (5) ჩატარდა როგორც საჯარო ასევე კერძო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მენეჯერებთან, კონსულტანტებთან და არაფორმალური განათლების აღიარების საბჭოს წევრებთან; სულ მონაწილეობა მიიღო 105 წევრმა. არაფორმალური განათლების აღიარების შესახებ ჩატარდა ორი საინფორმაციო სემინარი.

გარდა ამისა, ISWD პროექტმა დააფინანსა არაფორმალური განათლების აღიარების შესახებ ორი მცირე საგრანტო პროექტი.

მიღწეული პროგრესი და სამომავლო მიმართულებები

ჯერჯერობით, არაფორმალური განათლების აღიარება განხორციელდა მხოლოდ შეზღუდული მასშტაბით, ძირითადად რესურსების ნაკლებობის გამო. თუმცა, მომზადდა საფუძველი სისტემის დასანერგად (დოკუმენტაცია, პროცედურები, დამხმარე მასალები, ტრენინგ-პაკეტი და სხვა). გარდა ამისა, ბევრმა ორგანიზაციამ გამოხატა ჩართულობის ინტერესი.

რეკომენდირებულია, რომ შემდეგი ეტაპები განხორციელდეს ეტაპობრივად, რაშიც მოიაზრება

- არაფორმალური განათლების აღიარების რეგულაციის გადახედვა პროფესიული განათლების ახალი კანონის შესაბამისად, რომელიც საშუალებას იძლევა არაფორმალური განათლება აღიარება გაფართოვდეს პროფესიული განათლების 4-5 დონეებზე.
- ავტორიზაციის პროცედურების განხილვა და გადამუშავება იმისთვის, რომ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები აკმაყოფილებდნენ არაფორმალური განათლების აღიარებასთან დაკავშირებულ კონკრეტულ მოთხოვნებს.
- არაფორმალური განათლების აღიარების პილოტირების გაფართოვება არაფორმალური განათლებს აღიარების სახელმძღვანელოს საფუძველზე, რომელიც მოიცავს არაფორმალური განათლების აღიარების ოთხივე ეტაპს. პროცესმა უნდა მოიცავს არაფორმალური განათლების აღიარების შეფასების ხარისხის უზრუნველყოფა, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ჩარჩოს შიდა და გარე ვერიფიკაციის პროცედურები.
- არაფორმალური განათლების აღიარების დაფინანსების მოდელის შემუშავება და შეთანხმება.

- არაფორმალური განათლების აღიარების პროცესში პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების და ბიზნეს სექტორის ან სოციალური პარტნიორების ჩართულობა.
- არაფორმალური განათლების აღიარების პროცესში (მათ შორის პოტენციური აპლიკანტები და დამსაქმებლები) ცნობიერების ამაღლების ღონისძიებების ჩართვა, და ინფორმირების, კონსულტირების მექანიზმების შემუშავება.
- ადამიანური და ინსტიტუციური შესაძლებლობების განვითარება არაფორმალური განათლების აღიარების სისტემის ყველა დონეზე.

3.11 პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფა

შესავალი:

ხარისხის უზრუნველყოფის ძლიერი და ეფექტური სისტემა აუცილებელია პროფესიული განათლების კვალიფიკაციების აღიარებისთვის. ხარისხის უზრუნველყოფა არსებითია იმისათვის, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მიწოდება მოხდეს მოთხოვნილი სტანდარტების შესაბამისად და დააკმაყოფილოს ბიზნესის მოთხოვნები.

პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ჩარჩოს კომპონენტები თავდაპირველად გადაიხედა ევროკავშირის მხარდაჭერით, თუმცა ხარისხის უზრუნველყოფის ძირითადი ასპექტები ჯერ კიდევ არ იყო განსახორციელებული 2014 წელს, როცა ISWD პროექტი დაიწყო. ყველა კომპონენტი არ იყო ინტეგრირებული ჩარჩოში და რსებობდა ხარვეზები, როგორცაა პროფესიული კვალიფიკაციების შეფასებისთვის ხარისხის უზრუნველყოფის ნაკლებობა. პროექტი "პროფესიული განათლება ეკონომიკის განვითარებისთვის" განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრს დაეხმარა ხარისხის უზრუნველყოფის ჩარჩოს დასრულებაში.

პროექტის ტექნიკური დახმარება

ჩატარდა პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ყოვლისმომცველი სიტუაციური ანალიზი და ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევა, რომელის საფუძველზე დაიგეგმა შემდგომი ნაბიჯები. ხარისხის უზრუნველყოფის მოდელი და სამოქმედო გეგმა შეთანხმებული იყო განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან და ხარისხის მართვის თემატურ სამუშაო ჯგუფთან. ასევე გაანგარიშდა ხარისხის უზრუნველყოფის ჩარჩოს კომპონენტის დანერგვისთვის საჭირო ხარჯებიც. პროექტის მიერ შემუშავებული ხარისხის უზრუნველყოფის ჩარჩოს მოდელი მოიცავს შემდეგ კომპონენტებს:

- ინსტიტუციური თვით-შეფასება და მონიტორინგი;
- პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და პროგრამების ავტორიზაცია (როგორც ცალკე, ისე გაერთიანებული პროცედურები)
- პროფესიული კვალიფიკაციების შიდა და გარე შემოწმების (ვერიფიკაციის) მექანიზმები.

გარდა ამისა, პროექტი ხარისხის ცენტრს დაეხმარა პროფესიული სტანდარტების და მოდულური პროგრამების ვალიდაციის მექანიზმების განახლებაში.

ტექნიკური დახმარების ფარგლებში განსაკუთრებით ხაზგასმული იყო ინტეგრირებული მიდგომის საჭიროება, ჩარჩოს ყველა კომპონენტის თანმიმდევრული ხორციელება. ხარისხის უზრუნველყოფის ჩარჩოს პილოტირებისთვის შემუშავდა და დაიტესტა სატრენინგო პაკეტი; ასევე განხორციელდა შიდა და გარე ვერიფიკაციის პროცედურების პილოტირება. მიღწეული შედეგებია:

- პროფესიული განათლების სისტემის ხარისხის უზრუნველყოფის მოთხოვნების სიტუაციური ანალიზის ანგარიში, კვალიფიკაციების შეფასების ხარისხის უზრუნველყოფის ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის ანგარიში, და ხარისხის უზრუნველყოფის განხორციელების სამოქმედო გეგმა.
- ყოვლისმომცველი სახელმძღვანელოები: განახლებული ხარისხის უზრუნველყოფის ჩარჩო, შიდა და გარე ვერიფიკაციები, თვით-შეფასება, ავტორიზაცია (ინსტიტუციური და პროგრამული); კომპეტენციას დაფუძნებული შეფასება

- ტრენინგ პაკეტები: განახლებული ხარისხის უზრუნველყოფის ჩარჩო; შიდა და გარე ვერიფიკაციები; თვით-შეფასება; კომპეტენციას დაფუძნებული შეფასება პროფესიულ განათლებაში.
- ხარისხის უზრუნველყოფის ჩარჩოს ტრენინგის 7 ციკლი, მონაწილეობა მიიღო დაახლოებით 130-მა მონაწილემ.

მიღწეული პროგრესი და სამომავლო მიმართულებები

ხარისხის უზრუნველყოფის ჩარჩო უნდა დაინერგოს როგორც ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს განუყოფელი ნაწილი. აღსანიშნავია ისიც, რომ ეს შეიძლება მოიცავდეს დამატებით ღონისძიებებს, რომელიც დაკავშირებულია ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს ხარისხის უზრუნველყოფასთან, რაც განვითარდება ევროკავშირის მხარდაჭერით.

რეგულაციის და მეთოდოლოგიური დოკუმენტაციის შემუშავების და გადახედვის, შესაძლებლობების გაძლიერების, პილოტირების და ბენეფიციარებთან ინტენსიური თანამშრომლობის მიუხედავად, პროფესიული განათლების კვალიფიკაციების შეფასების გარე ვერიფიკაცია შეიძლება საჭიროებდეს ცვლილებებს ხარისხის უზრუნველყოფის კანონში; ხარისხის უზრუნველყოფის ჩარჩოს კომპონენტების სრული დანერგვა ჯერ კიდევ საჭიროებს შესაბამისი რეგულაციების გადახედვას.

სრული და ეფექტური ხარისხის უზრუნველყოფის ჩარჩოს განხორციელება გრძელვადიანი პროცესი იქნება. შესაძლებლობების გაძლიერებას და ხარისხის უზრუნველყოფის კულტურის გაღრმავებას სჭირდება დრო; გასათვალისწინებელია ისიც, რომ პასუხისმგებელ დაწესებულებებს არ გააჩნიათ საკმარისი რესურსები. მნიშვნელოვანია, რომ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა განათლების და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერით გააგრძელოს ხარისხის უზრუნველყოფის ჩარჩოს დანერგვა.

შემდგომი ნაბიჯები უნდა მოიცავდეს შემდეგ მიმართულებებს:

- რეგულაციების შემუშავება, მაგ. გარე ვერიფიკაციის პროცედურების სრული განხორციელების სამართლებრივი საფუძველის უზრუნველყოფა.
- ხარისხის უზრუნველყოფის ჩარჩოს დოკუმენტაციის განხილვა და დახვეწა არსებული გამოცდილების გათვალისწინებით.
- პროფესიული განათლების ახალი ინიციატივებში ხარისხის უზრუნველყოფის ჩარჩოს მოთხოვნების გათვალისწინება, მაგალითად, როდესაც იწვევება ახალი კვალიფიკაციები, სწავლის შესაძლებლობების დივერსიფიცირება ან არაფორმალური განათლების აღიერებით მიღწეული კვალიფიკაციების გაერთიანება ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოში.
- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების თანამშრომლების შესაძლებლობების განვითარება არა მხოლოდ მეთოდოლოგიურ და პროცედურულ საკითხებში, არამედ პროფესიულ განათლებაში ხარისხის უზრუნველყოფის კულტურის გაძლიერების მიმართულებითაც.
- ხარისხის უზრუნველყოფის ჩარჩოს სრული შესაბამისობის უზრუნველყოფა ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის კონტექსტში; ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოს დოკუმენტაციებში მოცემული

ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელოებთან და პროცედურებთან ერთად, რომელიც შემუშავდა ევროკავშირის მხარდაჭერით.